

# სტუდენტ



140/2  
2009

8

„გვირილას“  
პარსკვლავი  
ნინო ნიკოლაიშვილი



ბიჭი, როგელის  
უკუღმა კითხულობს



# საშუალო სკოლა

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თბილისის 161-ე საშუალო სკოლა



I კლასი,  
სელმდვანელი  
მაია სოშტარია

II კლასი,  
სელმდვანელი  
მანანა მორჩილაძე



III კლასი,  
სელმდვანელი  
მაია მაჭავარიანი



# ნაპაღულუ

# ნოვაჰუი

საქმანვილო ჟურნალი  
2002 წ. № 8

ჩვენი ქაღნალი 1904 წელს სასიციადელთ მამულიშვილთა მესჯურბდით დეაბრეძელი პირველი ქართული საცმე-წვილთ ქაღნალის ნათუძარბეა ამბზდრილი. მბგვიანუმიტ მას სასელი მუეცვალა და „პიბნერი“ ეწდელა, 1990 წლიდან კი იგი კულავ თავისი პირვანდელი სასელიტ გამბდის.

## ნომრის შინაარსი

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ — 2

იციბოლდე—ნინო ნიკოლაიშვილი „გვირილადან“ (დასამანსორებელი სახელები) — 3

სკოლის დირექტორობას თავისი ხელოვნება სჭირდება — 5

არაჩვეულებრივი ბიჭი იგროვ ეძატუაქიმ (გინდ დაიჭერეთ, გინდ არა) — 7

იასონ ბადრიძე: მგელი მტაცებელი არ არის (საინტერესო ადამიანთა კლუბი) — 8

ვასილ ივანოვი—მიქელანჯელო (მოთხრობა) — 10

მსოფლიო კიდეტ კიდემდე — 12

„ოლოშხერი“ — 13-21

ჩემი თავი სკოლის გარეშე ვერ წარმომიდგენია — 14

აღსავსე სიკეთე და სიყვარულიტ — 15

ბავშვთა შემოქმედების კვირეული — 16

კითხვა-თქვენი, პასუხი-ჩვენი — 18

ტანძია (ლიტერატურული გეოგრაფია) — 19

ვიქტორინა „ჭკუის კოლოფებისთვის“ — 20

ელვინ ბრუქს უაიტი, ციცქნა სტიუარტი (მოთხრობა-ზღაპარი) — 22

„ხუთკუნჭულა“ (პატარების გვერდი) — 25

იცი რას ნიშნავს შენი სახელი? — 26

რა უნდა ვიცოდეთ ჰიგიენის შესახებ (ჩრევები) — 27

დეტექტიური თავსატეხი — 28

ტალღებზე მონავარდე (საინტერესო თემაზე) — 29

ჯადოსნური სარკე — 30

სიცილის გაკვეთილი — 31

იწილო-ბიწილო — 32

### რედაქციური მანანა გელაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14  
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.  
ინდექსი: 76157

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში

საქმანვილო ჟურნალი

ძველი რომული კალენდრით ნოემბერი წლის მეცხრე თვე იყო. „ნოვემ“—ლათინურად ცხრას ნიშნავს. ძველქართულად ნოემბერს ტირისკონი-ერქვა, მისი ქართული ხალხური სახელწოდება კი გიორგზბისთვეა.

მიუხვეტ ნიკო კაცსოველს:

„შემოდგომის სუნი უკვე ძლიერად დატრიალდა. თუ დღემდე ინტიბარს არ ვიტენდით, „არა უშავს რა, ჯერ თბილაო“, ანლა უკვე საგრძნობლად აცივდა. თოვლმა მთის წვერებიდან ძირს ჩამოიწია, მართალია, ვაკეებზე არ ჩამოსულა, მაგრამ მთის ტყეებში უკვე ჩვეულებრივი სტუმარია. დიდიდრობით მთის ტყეები ვერცხლისფრად არის შეჭირბლოლი, თოვლმა თეთრად გადაპენტა კავკასიონი. აჭარა-იმერეთის ქედი, თრიალეთი, ლალვარი დილის სუსხსა გზავნიან ბარისაკენ.

ტყის სუსხი ბარსაც შეეტყო. ხიდან ჩამოცვენილი წითელ-ყვითელი ფოთლები ჰაერში ფრიალენ და ქანაობენ. მხოლოდ მუხა დგას ძველებურად, ნირშეუცვლელად. მისი ფოთოლი ჯერ მწვანეა. ცირცელს და ჯახველს შეწითლებული ფოთოლი უკვე შემოეძარცვათ და წითელი ნაყოფის კუნწულები გამოუკიდიათ.


ტყის პირებზე და ტყის მდელოებზე, აბეჩხარ ტყეში, მიწიდან ჯერ კიდევ თავი ამოუყვია შემოდგომის ულამაზეს მცენარეს უცუნას. არც მთის მინდვრებზე და ველებზე აყვავებული ზაფრანა, შემოდგომის ენძელას რომ ეძახიან, ჩამოუყვარდება უცუნას თავისი სილამაზით. ველებში, ვაკეებზე ლამაზად მოჩანს თითო-ოროლა სოსანის უფოთლო, მაგრამ ლამაზყვავილოვანი ძირი. შორაქანის ზოგიერთ ძირსაც შემორჩენია პეწი და ლაზათი. ზამთრის საძოვარზე მწვანე მოლი კიდევ მოჩანს.

დასათესი დაითესა, ასაკრეფი აიკრიფა, ან იკრიფება. სულ მალე აღმოსავლეთ საქართველოს მინდვრებზე ბალი და ბოსტანი დაცარიელდება, ხანლში წასადები აღარა იქნება რა, სამაგიეროდ, დაიწყება სოფლიდან მინდორში გატანა: მინერალური სასუქისა—ნათესების დამატებით გამოსაკვებად, ცოტაოდენი თესლისა—უკვე ამწვანებულ ჯეჩილში გაშორჩენილი ხარვეზების შესავსებად და სხვა.

ბაღებში იწყება სასუქის შეტანა, რიგთა შორის ხვნა, ბარვა, ხის ტანის შეწმენდა, ხეხილის ტოტების შემოცლა, მავნე მწერთა ბუდეების შეგროვება და დაწვა, ლობის გაკეთება. ვენახში—ვაზის აშვება, საცა ხარი უდგია—სარის გამოყრა, საძირე პლანტაციებში ვაზის რქის აჭრა და შენახვა. მაგრამ განა მართო კრეფაა ამ დროს? ოროკობის (ტერასების), წყალსაწრეტების, ღობეების შეკეთება, ხილმოკრეფილ ბაღებში ფუმეგაცია და მავნე მწერების ბუდეების შეკრება და სხვ. აშავე დროს ზამთრისათვისაც ემზადებიან. რადგან თოვლი ზოგჯერ ნოემბერშიც იცის, ამიტომ ტოტები უნდა აიკრას. შეიძლება ყინვამაც დაჭრას—უნდა შეიფუთოს.

მინდვრად მყოფ საქონელს ბალანი უგრძელდება, რადგან სიცხვე მატულობს. ცაზე ტყვისიფერი ღრუბელი ჩამოწოლილა, ხშირად წვიმს, ვინუდლავს. ამ დროს ზოგი ისეთი ღამეც გამოერევა, როდესაც ბარად საში-ექვსი გრადუსი და ზოგჯერ მეტიც იქნება ყინვა. მდინარის პირი, გუბე თხელი ყინულის ფენით დაიფარება, ბარად თოვლსაც წამოურევს...





# "ნაკარუნის" სინფონიკური სამხანაურ "ფაქსი"



## სკოლა ერთი მოსწავლისთვის

ჩვენში არსებული წესით, სოფელში ახალი სკოლა რომ გაიხსნას, საჭიროა 80 ბავშვი, ქალაქში კი — 100, მაგრამ ახლახან საქართველოს განათლების სამინისტრომ წალკის რაიონისთვის გამოწავლისის სახით ახალი ნორმატივი დაუშვა. ამიერიდან ქვემო ქართლის ამ რაიონში სკოლა ისეთ დასახლებულ ადგილზეც გაიხსნება, სადაც თუნდაც ერთი ბავშვია. როგორც ირკვევა, ჩვენს სინამდვილეში ასეთი პრეცედენტი უკვე არსებობს. რაჭის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში არის სკოლა, რომელშიც ერთადერთი მოსწავლეა.

## კომპიუტერული პროგრამების საერთაშორისო ოლიმპიადა თბილისში

თბილისში მიმდინარეობდა შავი ზღვის აუზის ქვეყნების მოსწავლეთა პირველი საერთაშორისო ოლიმპიადა კომპიუტერულ პროგრამებში, რომლის მთავარი მიზანი იყო საინფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლა-დაუფლების პრობაგანდა, ოლიმპიადის მონაწილეთა მეგობრობის გაღრმავება და მათი მომავალი თანამშრომლობის საფუძველის ჩაყრა.

ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ 18 წლამდე ასაკის მოსწავლეები აზერბაიჯანიდან,

ალბანეთიდან, ბულგარეთიდან, თურქეთიდან, მოლდოვადან, რუმინეთიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან და საქართველოდან. საქართველო, როგორც მასპინძელი ქვეყანა, ოლიმპიადაზე ოთხი გუნდით იყო წარმოდგენილი. ოლიმპიადის შედეგები საორგანიზაციო კომიტეტისა და სპეციალისტების მიერ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით განისაზღვრა. გამარჯვებულთა გამოვლენისას მხედველობაში იქნა მიღებული წარმოდგენილი პროგრამის პრაქტიკულობა, დიზაინი, დანიშნულება და სხვა.

## ბავშვთა თეატრალური ფესტივალი

ბორჯომში გამართული ბავშვთა თეატრების ფესტივალი გაიხსნა სკოლა-სტუდია „ბერიკების“ არასაკონკურსო წარმოდგენით „გარეჯულა“. საკონკურსო რეპერტუარში იყო თეატრალური სტუდია „საუნჯის“ წარმოდგენა „მე, ბებია, ილიკო და ილარინო“, 207-ე ბაღ-სკოლასთან არსებული თოჯინების თეატრის „ბატის ჭუკი“, საბავშვო თეატრ „თეატრალის“ „ბურატინო“, ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „მზიურის“ „ოლივერი“, ბავშვთა საოჯახო თეატრ „ენკი-ბენკის“ „ჭინჭრაქა“ და ეროვნული კულტურის სკოლის „კაი ყმის“ „რწყილი და ჭიანჭველა“. თვალსაჩინო ქა-

რთველი მსახიობებით დაკომპლექტებულ უიურის, რომელსაც რეჟისორი გოგი თოდაძე თავმჯდომარეობდა, უნდა გამოეგლინა საუკეთესო სამსახიობო მონაცემების ბავშვები. ასეთებად ფესტივალის მონაწილე 14 ნორჩი მსახიობი ცნეს. გამარჯვებულები სამახსოვრო სიგელებით დაჯილდოვდნენ.

## რა უნდა ლუდის რეკლამას სკოლის სახელმძღვანელოში?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე ფაკულტეტის სტუდენტებმა თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნულ ცენტრთან ერთად განათლების სამინისტროს წინ მოაწვევეს საპროტესტო აქცია მოთხოვნით, შეწყდეს ლუდისა და თამბაქოს რეკლამა სკოლებში. აქციის მონაწილეთა მტკიცებით, მეხუთე კლასის ბუნების სახელმძღვანელოში შესაბამისი მასალისთვის მყინვარწვერის ფოტოს ნაცვლად ილუსტრაციის სახით დაბეჭდილია ლუდი „ყაზბეგის“ ბოთლის ეტიკეტი, რაც თავისთავად უკვე რეკლამაა. სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ სახელმძღვანელოს ავტორთან ერთად ამისთვის პასუხი განათლების მინისტრმაც უნდა აგოს. აქციის მონაწილეებმა მინისტრს სკოლებში თამბაქოს პრობაგანდაში ხელშეწყობაც დასდეს ბრალად.



**დასაქმებულნი სხვადასხვა**

**იციხე-ნიხი**

**ნიკოლაიშვილი „გვირილა“**

გოგონას განსაკუთრებული მუსიკალობა რომ შეატყვევს, ოჯახის წევრებმა მისი რომელიმე ანსამბლსა ან სტუდიაში მიუყვანა გადაწყვიტეს. გაიკითხეს, რჩევა ითხოვეს და ბოლოს არჩევანი „გვირილაზე“ შეაჩერეს. რაკი გადაწყვეტილება მიიღეს, ადარ უყოყმანიათ, მოჰკიდა ნინო ბებიამ შვილიშვილს ხელი და „გვირილაში“ მიიყვანა. ანსამბლის ხელმძღვანელი ქალბატონი ერნა წიფურია ღიმილით შეხვდა თვალმანარა ბავშვს, მუსიკალური მონაცემები შეუმოწმა, კმაყოფილი დარჩა, შეაქო, უსათუოდ ჩაგრიცხავთ ჩვენს სტუდიაშიო, მერე კალთაში ჩაისვა, მიეფერა, რაკარგი გოგო ყოფილხარ, როგორ ბურთივით ხარ ჩამრგვალებულიო. შერჩა და შერჩა ეს სახელი — ბურთა, ბურთიკო (საერთოდ ქალბატონ ერნას ძალიან უყვარს თავისი აღსაზრდელებისთვის საალერსო მეტსახელების შერქმევა). ისე ბურთიკოს ნინო ჰქვია, გვარად კი ნიკოლაიშვილია. გული-სხმიერი აღმზრდელის და ჩინებული პროფესიონალის ხელში ნიჭიერი ციციქნა მომღერალი სულ მალე მოემზადა დებიუტისთვის და სამი წლის ნინო ნიკოლაიშვილი ფილარმონიის დიდი საკონცერტო

დარბაზის სცენაზე გამოვიდა. ნეტავ გენახათ, როგორ თავისუფლად, ბუნებრივად ეჭირა თავი და ბოლომდე როგორ შეუცდომლად იმღერა. წარმატებულ დებიუტს პირველი გა-

დევ ერთხელ გაიბრწყინა რეჟისორ გოგი ოსეფაიშვილის მიერ ვიქტორ დოლიძის ოპერის „ქეთო და კოტეს“ მიხედვით „გვირილაში“ დადგმულ პარაფრაზებში. ბატონ გოგის ისე მოეწონა ნინო ამ დადგმაში, რომ როკობერა-მიუზიკლ „ჩიორაში“ მიიწვია მთავარ როლზე. მიუზიკლის პრემიერა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგა, „ჩიორას“ კლიბი საქართველოს ტელევიზიის პირველმა არხმა გადაიღო. ბურთიკომ ამჯერადაც გაამართლა იმედები, შესანიშნავად გაართვა თავი როლს და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე არტისტული მონაცემები აქვს. დღეს ეს ყველასთვის ნათელია, მაგრამ ალბათ გოგონას თანდაყოლილი ნიჭიერებაც, არტისტულობაც და მუსიკალობაც განუვითარებელი დარჩებოდა, რომ არა მისი უდიდესი შრომისმოყვარეობა და სტუდიაში ვოკალის, პლასტიკის, ცეკვის, სასცენო ხელოვნების და პო-



სტროლი მოჰყვა. ნინო-ბურთიკომ „გვირილასთან“ ერთად მონაწილეობა მიიღო ეგეოსის ზღვის მუსიკალურ ფესტივალში და დიდი წვლილიც შეიტანა ანსამბლის წარმატებაში. ოთხი წლის ქართველმა მომღერალმა იქაც ისახელა თავი, მისი შესრულებით მოხიბლული მსმენელი დიდხანს უკრავდა ტაშს პატარა ვოკალისტს. მერე ნინო სასტუმრო „მეტეხში“ საახალწლო კარნავალზე მიიწვიეს, მოგვიანებით კი — ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ ზეიმზე. იქ ბურთიკომ „ანტოშკა“ და „კოდალა“ იმღერა და აღტაცებაში მოიყვანა ყველა — დიდიც და პატარაც. გოგონას ტალანტმა კი-



გავრძელება მე-4 გვ.





დიუმის გაკვეთილებზე შექმნილი ცოდნა-ჩვევები. დღითიდღე იხვეწება „გვირილაში“ ნინოს შესრულების მანერაც, სტილიც, არტისტიზმიც. ბურთიკო ხალისით სწავლობს, ადვილად ითვისებს გაკვეთილებს და მერე ზუსტად ითვისების წინებს მასწავლებლის ყველა შენიშვნას და კონცერტიდან კონცერტამდე სრულყოფს ოსტატობას. მიმდინარე წლის ივნისში მუსიკალურ-სანახაობრივ ცენტრ „ბერიკონში“ ჩატარებულ საღამოზე „გვირილა“ და მისი მეგობრები“ ნორჩ ტალანტებს, და მათ შორის ნინო ნიკოლაიშვილს ბევრმა ქართველმა ხელოვნების ოსტატმა მოუსმინა და ძალზე მაღალი შეფასება მისცა მათ. მას შემდეგ რაც ქალბატონმა ეთერ კაკულიამ ნინოს მიერ შესანიშნავად შესრულებული თურქული ხალხური სიმღერა მოისმინა, უყოყმანოდ მიიწვია იგი საღამოზე „ქართულ-თურქული ჰანგები“ და არც უნანია, იმიტომ, რომ ბურთიკომ ნამდვილად დაამშვენა ეს საღამო. პატარა მომღერალს უფროს კოლეგებს შორის ბევრი მეგობარი გაუჩნდა: იგივე ქალბატონი ეთერ კაკულია, ბატონი ნუგზარ კვაშალი, ბატონი მამუკა ონაშვილი და სხვ. ბურთიკო ყველას ძალიან უყვარს და ისინი მისი სახით საიმედო ცვლას, ქართული ესტრადის მომავალს ხედავენ.

წელს, ივნისში ნინო ნიკოლაიშვილი ანსამბლ „გვირილასთან“ ერთად იმყოფებოდა ბულგარეთში, კერძოდ, ქალაქებში ტირნოვოსა და ბურგასში, სადაც ფოლკლორულ-საესტრადო სიმღერების ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და იქაც დამსახურებული აღიარება მოიპოვა, ფესტივალის ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

ჩვენ თითქმის ყველაფერი გაიმბეთ ნინო ნიკოლაიშვილზე, ახლა კი მოდით „გვირილას“ ხელმძღვანელს, ნინოს მასწავლებელს და მისი ხელოვნების პირუთვნელ შემფასებელს ქალბატონ ერნა წიფურასაც მოვუსმინოთ:

—ნინო, ჩვენი ბურთიკო, ძალიან ნიჭიერი, აქტიური და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, საოცრად შრომისმოყვარე ბავშვია. სულ პატარა მოიყვანეს „გვირილაში“, მეცადინეობებზე ინსტრუმენტთან რომ ვჯდებოდი, კალთაში ვისვამდი ხოლმე და ისე ვასწავლიდი... მუსიკალური ხომ არის და არის, მაგრამ ამასთან ერთად ძალიან არტისტიულიცაა, ისე ითავისებს როლს თუ სიმღერის შინაარსს, რომ გაგიკვირდებათ. ხუთი წლის წინ იტალიაში ყოფნისას სიმღერა მაჩუქეს და მისი გადმოქართულება გადავწყვიტე, ქართული ვარიანტისთვის მელიასა

და მწყერჩიტას ზღაპარი შევარჩიე. მელიას როლი ბურთიკოს მივანდეთ, იცით, როგორ მოირგო მელაკუდობა? ისე ბუნებრივად ასრულებდა როლს, რომ ბარტყების შემსრულებელ ბავშვებს სერიოზულად ეშინოდათ მისი, ძლივს დავარწმუნეთ, რომ ეს ბურთიკო იყო და არა მელია. ამ დადგმით მერე საფრანგეთის საელჩოს ეგიდით მოწყობილ ფესტივალ „ოქროს ბატკანშიც“ მივიღეთ მონაწილეობა და დიდი მოწონება დავიმსახურეთ. ნინო საქართველოს სახე-



ლმწიფო ფილარმონიის სოლისტი გახლავთ, მას მრავალ კონცერტსა თუ დღესასწაულზე იწვევენ და ისიც სიამოვნებით მღერის ქართულ, რუსულ, თურქულ, ინგლისურ სიმღერებს და ასეთივე სიამოვნებით უსმენს მას ყველა ასაკის მსმენელი.


ჩვენ ისღა დაგვრჩენია დავძინოთ, რომ ახლა ნინო ნიკოლაიშვილი ექვსი წლისაა და თბილისის ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“ პირველი კლასის მოსწავლე გახლავთ. ადვილად და ხალისით სწავლობს, თუმცა რა გასაკვირია, როცა 2 წლისამ უკვე ქართული ანბანიც იცოდა და უამრავი ლექსიც. ან კი როგორ იზარმაცებს, როცა ასეთი შესანიშნავი, თბილი და გულისხმიერი მასწავლებელი ჰყავს, ქალბატონი ნათელა უთმელიძე რომ არის. ნინოს ძალიან, ძალიან უყვარს თავისი პირველი მასწავლებელი, სულ თვალბეჭდში შესციცინებს მას, ნათელა მასწავლებელი მისთვის ყველაფერში ურყევი ავტორიტეტია.

და კიდევ—თუმცა მას შემდეგ რაც პირველად მოიყვანეს „გვირილაში“, საგრძნობლად გახდა და ბურთოს სულაც აღარ ჰგავს, სააღერსო სახელი ბურთიკო, მაინც შერჩა და ოდნავადაც არა სწყინს, როცა ამ სახელით მიმართავენ.



# სკოლის დირექტორებს თავისი სელოვნება სჭირდება


სვერი ერთ-ერთი უღამაშესი სოფელია სემო იმერეთში, ჭიათურის რაიონში. ადგილედ, ჭიათურის ჰირველ ვიცე-მერად იმუშავა, ხოლო 1996 წელს კვლავ ჰელა-



აქ კონიერი, გამრჯე, საქმის ერთგული და შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ. სვერი ისტორიული სოფელიც არის. მის მახლობლად მდებარე სვერის ციხის აგების თარიღად 735 წელია მიხეუელი. სოფლის მიდამოებში არის აგრეთვე მრავალი უძველესი მღვიმე და გამოქვაბული.

სვერელებს ეოვლეთვის აქტიური წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში, მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასეა დღესაც. სვერის და მის სათემოში შემაჯავლი სოფლების—თვალუეთის და ცხრუკეთის ახალგაზრდობისთვის ცხოვრების დიდ კუთხე გასასვლელი ბილიკი სვერის საშუალო სკოლაში იწეობა. ორ წელიწადში სვერის სკოლა თავის საუკუნოვან იუბილეს იხეიმებს. 40 წელია სკოლას დეაწლმოსილი ჰედაგოგი და დიდებული ადამიანი რეზო ბიწაძე ხელმძღვანელობს, რომელმაც თავადაც სვერის საშუალო სკოლა დაამთავრა. გორის ჰელაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1957 წელს რეზო ბიწაძე სოფელ კალაურის სკოლის დირექტორად დაინიშნა. მომდევნო წლებში იგი მუშაობდა ჯერ ზედა უსახლოს 8 წლიანი სკოლის, მერე მშობლიური სოფლის ცხრუკეთის 8 წლიანი სკოლის დირექტორად. 1962 წელს კი სოფელ სვერის საშუალო სკოლის დირექტორად გადაიყვანეს. ერთხანს ჭიათურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მო-

ვაციურ მოღვაწეობას დაუბრუნდა და სვერის სკოლა-გიმნაზიას ჩაუდგა სათავეში. ჰეავეს მეუღლე, სამი ვაჟიშვილი და ოთხი შვილიშვილი. დაჯილდოებულია დირსების ორდენით.



—ბატონო რეზო, თუ შვილდება, მოკლედ გვიამბეთ სვერის სკოლის ისტორიაზე—როდის შეიქმნა, ვინ იყო მისი პირველი დირექტორი და ა.შ.

—სოფელ სვერში სკოლა 1904 წლიდან ფუნქციონირებს. თავიდან სკოლა დაწყებითი, 4 კლასიანი ყოფილა, შემდეგ არასრულ საშუალო სკოლად გადაკეთდა, 1939 წლიდან კი საშუალო სკოლაა. აქ ტრადიციულად ყოველთვის კარგი პედაგოგები, კარგი დირექტორები მუშაობდნენ. ზოგ მათგანს პირადად ვი-

ცნობდი, მაგალითად, პრაქონ ზედაძე, ირა ცუციკირიძეს (ეს ქალბატონი განსაკუთრებით კავშირის გამირის მაიორ კონსტანტინე ცუციკირიძის და, ამ გამირის ბიუსტი სკოლის ეზოში დგას), ქალბატონ ირას შემდეგ დირექტორად მუშაობდა გივი ბიწაძე, მის შემდეგ კი, 1962 წლიდან მე განსაკუთრებით სკოლის დირექტორი. ზუსტად 45 წელია რაც საზოგადოდ სკოლაში ვმუშაობ და 41-ე წელი დაიწყო, რაც ამ სკოლაში ვარ. საერთოდ კი სკოლის დირექტორად უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დღიდან, 1957 წლიდან ვმუშაობ.

—სვერს ღა მის სკოლას თუ დაბეჭოთ გვეყენის სინამდვილისთვის დამახასიათებელი სიმბოლო—გალაქისკად სწრაფვა?

—სამწუხაროდ, დაეტყო. შექმნილი ვითარების გამო სოფლები იცლება, ქალაქისაკენ ილტვიან ჩვენი მაღალმთიანი სოფლიდანაც, ხალხი სავაჭროდ მიდის თბილისში, სხვა ქალაქებში. ეს პროცესი სკოლის კონტინგენტსაც დაეტყო, თუ ადრე 20 საფინანსო კლასი და 600-ზე მეტი მოსწავლე გვეყავდა, დღეს სკოლის 11 კლასში 255 მოსწავლე სწავლობს, მათ აღზრდა-განათლებას კი 25 მოსწავლებელი ემსახურება.

—ეს პროცესი სწავლის ხარისხზეც ხომ არ აისახა? ხომ არ გაუწეულათ ბავშვებს სწავლისაღრი ინტერესი?

—იმ საერთო სავალალო ფონზე, როცა ბავშვებს, ახალგაზრდებს გაუწეულათ ინტერესი წიგნისაღმი, ჩვენს ბავშვებს მაინცდამაინც ვერ დავემდურებით, მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი მონდომებულია და სიამოვნებით სწავლობს.

—ბატონო რეზო, მოგახსენებთ, საბატონო კავაგოტა უღიღესი ნაწილი უკავაგოვილოა მათი შრომის ანაზღაურებით, ხელფასის გაუცვლოვის გამო ზოგი მათგანი უარს ამბობს გაკვეთილების ჩატარებაზე, სვერელი მასწავლებლები თუ შვერენ მხარს კოლეგებს?

—ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ბოლო დროს მოდად ქცეული პედაგოგთა გაფიცვები. ჩვენს სკოლაში მასწავლებლის მიზეზით ერთი საათიც არ გამცდარა. მიმჩნია, რომ ეს არანორმალურია, როგორი შეჭირვებულებიც უნდა ვიყოთ ჩვენ, პედაგოგები, მოსწავლე არ უნდა ვა-

გაგრძელება მე-6 გვ.



ზარალოთ. პედაგოგიური მეცნიერება ხომ გვეუბნება, რომ სასწავლო პროცესის სულ მცირე დროით შეწყვეტაც კი ძალიან ცუდად მოქმედებს მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარებაზე, მის სწავლასა და განათლებაზე. ბოლო 10 წლის მანძილზე ჩვენთან ერთი გაკვეთილიც კი არ გამცდარა და ვიდრე მე დირექტორი ვარ, არც გაცდებდა. ჩვენს სკოლაში სასწავლო პროცესი მუდმივად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს. ხელფასები ჩვენც გვაკლდება, ჩვენც გვიგვიანებენ, მაგრამ გვჯერა, რომ ეს დროებითია და ვითმენთ, ეჭვი არ არის, რომ ეს პრობლემაც მოგვარდება.

—ბატონო რეზო, თუ უმიჯნაო ორიოდ სიტყვით, სკოლის იმ ალყრდღილზე, რომელმაც მოგზაობის სკოლა და მასწავლებლები ასახელა.

—ჩვენ ძალიან კარგი შენობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გვაქვს. 20 საფინანსო კლასის განკარგულებაშია 20 საკლასო ოთახი, კაბინეტები. დიდი ხანია, რაც კაბინეტურ სისტემაზე გადავედით. გვაქვს მუსიკის კაბინეტი, ცალკე სააქტო დარბაზი, კინოსაპროექციო კაბინეტი და სხვა. ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გვაქვს.

10 წელი იქნება, რაც სკოლის შესაკეთებლად ან ელემენტალური საკანცელარო ნივთების შესაძენად რაიონიდან ერთი თეთრიც კი არ მიგვიღია, ვცდილობთ, ყველაფერს ჩვენი ძალებით გავართვათ თავი, საამისოდ კი მუდმივად ვეძებთ გზებს და საშუალებებს. ისე, პატარ-პატარა პრობლემების მოგვარებაში, ვთქვათ, ცოცხის, ტილოების და სხვა წვრილმანების შეძენაში შეძლებისდაგვარად მშობლებიც გვეხმარებიან. პატარ-პატარა შემოწირულობებით და საკუთარი შრომა-გარჯით გაგვაქვს თავი. საერთო ძალისხმევით ჩვენი სკოლა დღეს ისეთივე მდგომარეობაშია, 90-იან წლებში რომ იყო—მოვლილი, მოწესრიგებული.

უნდა გითხრათ, რომ ძალიან კარგი, ძლიერი მასწავლებლები გვყავს, რომ არ დაგიფიცოთ, სუსტ მასწავლებელს ვერ ვგუობ. თუ მასწავლებელი

ხარ და პედაგოგი გქვია, უნდა ასწავლო კიდეც და ასწავლო წესიერად,



ხოლო თუ მასწავლებლობა არ შეგიძლია, არც შენი თავი უნდა ჩააყენო უხერხულობაში, და არც მოსწავლე. მასწავლებელი აღმზრდელიც უნდა იყოს და განმანათლებელიც. სკოლას მართო სწავლება კი არა, აღზრდაც ევალება. სკოლა უდისციპლინოდ იგივეა, რაც წისქვილი უწყლოდ. ხშირად განათლებისკენ სწრაფვა აღზრდის შედეგია,—ეს უნდა ახსოვდეს ყველას—მშობელსაც და მასწავლებელსაც.

დღეს ყალიბდება ჩვენი ეროვნული სკოლა და პირველ რიგში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს ისტორიას. თითოეულმა ქართველმა აუცილებლად უნდა იცოდეს საიდან მოდის და სად მიდის. ამავე დროს აუცილებელია მეზობელი კულტურული ერის ისტორის ცოდნაც. პირადად მე მსოფლიო ისტორიის მასწავლებელი გახლავართ და მიმაჩნია, რომ განსაკუთრებულ



პატარებს უნდა ვცემდეთ ჩვენი დიდი მეზობლის, რუსეთის ისტორიას თუნდაც იმიტომ, რომ იგი ქართველი ერისათვის თითქმის ერთიან სიბრტყეზეა დანახული.

მოსწავლეები ყველაზე უკეთესად ამოწმებენ თავიანთი მასწავლებლის ცოდნას. განათლების სამინისტროს ვერც ერთი ინსპექტორი ისე ვერ შემოწმებს მასწავლებელს, მის ცოდნას, მის პედაგოგიურ ტაქტსა და პროფესიას, როგორც მოსწავლე.

ჩვენს მოწინავე პედაგოგებში, რომელთა პირველ რიგში დავასახელებ მწიგნობარ-ბიოლოგიის მასწავლებელს თეოფილე ცუცქირიძეს, რომელიც დიდი ხანია მუშაობს და კარგი ქიმიკოსია, ფიზიკის მასწავლებელს გოგი ბიწაძეს, საქართველოს ისტორიის მასწავლებელს თამაზ ცუცქირიძეს, ინგლისურის მასწავლებელს ნატო გაფარიძეს. მათი მოსწავლეები სისტემატურად აღწევენ წარმატებას კონფერენციებში, კონკურსებში, ოლიმპიადებში, იმსახურებენ ქების სიგელებს, დიპლომებს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენი სკოლა მოწინავეა.

—ბატონო რეზო, თუ უმიჯნაო ორიოდ სიტყვით, სკოლის იმ ალყრდღილზე, რომელმაც მოგზაობის სკოლა და მასწავლებლები ასახელა.

—ასეთი პიროვნება ძალიან ბევრია: დემურ ბიწაძე ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია; ვალოდია წერეთელი თბილისის საოქტო სასამართლოს მოსამართლე გახლავთ; ოლეგ გველესიანი ცნობილი პოეტი და ჟურნალისტი; მურად ბიწაძე თსუ-ს პროფესორია; გივი ბიწაძე, ზოია ბიწაძე, დემურ ბიწაძე სხვები და სხვები. ბევრი ჩვენი კურსდამთავრებული გამოჩენილი მშენებელი, ავტონჟინერი და პედაგოგია.

საერთოდ სვერიც და მის საკრებულოში შემავალი სოფლები ცხრუკეთიც და თვალუეთიც ცნობილია გამოჩენილი ადამიანებით. გვყავს 25 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, მთელ საქართველოში ცნობილია გიორგი წერეთლის, ალექსანდრე წერეთლის, თინათინ წერეთლის, ნიკოლოზ წერეთლის, შალვა ბიწაძის, ანდრეა ბიწაძის, ზინაიდა ბიწაძის სახელები...

—ბატონო რეზო, თქვენმა აზრებმა, საჭმის კითხვა უყვარს და არა საჭმის შედეგით თავის მოწონებას...

—გფიქრობ, ამაში განსაკუთრებული არაფერია. ვაკეთებ იმას, რაც ჩემს ადამიანურ მოვალეობად მიმაჩნია, ვერ ვიტან საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას და უწესრიგობას. საქმეს ყველა უხმოდ უნდა აკეთებდეს. ასე მწამს და ამ რწმენით მოვდივარ დღემდე.

მსაუბრა თამაზა გველესიანი  
ჭიათურის რაიონი, სოფ. სვამრი.



# გინდ ღაიჯერით, გინდ — არა

თუ გინდათ, იცოდეთ, ვინ არის ეს არაჩვეულებრივი ბიჭი, უკულმა, მარჯვნიდან მარცხნივ წაიკითხეთ მისი გვარი და სახელი და მიხვდებით, რომ ლაპარაკია გიორგი მიქაუტაძეზე, უკულმა კი იმიტომ დავწერეთ მისი გვარი-სახელი, რომ იგი სწორედ ამ უჩვეულო ნიჭით—უკულმა ლაპარაკით გამოირჩევა დანარჩენებისგან.

თავიდან ოჯახში ბიჭის ამ უნარს ყურადღებას არ აქცევდნენ, როცა ერთ-ორ სიტყვას უკულმა იტყოდა, ელიმებოდათ, ფიქრობდნენ, უბრალოდ უფროსების გასაჯავრებლად ამბობს სათქმელს უკულმაო. მაგრამ როცა კახეთში სოფელ ყიტაანში ბებია-პაპასთან ყოფნისას დედა ნიკო ლომოურის „ქაჯანას“ მიხედვით თემის დაწერაში ეხმარებოდა და მოთხრობიდან ქაჯანას მამის სახესთან დაკავშირებულ ადგილებს უკითხავდა, გიორგი სულ აწყვეტინებდა, ეხვეწებოდა, დედიკო, ნულარ მიკითხავ, ახლა ყველაფერს უკულმა გავიმეორებო. დედა ტუქსავდა, ეგონა, ბავშვს უბრალოდ ეზარებოდა თემის დაწერა და ამ გზით ცდილობდა თავის დაძვრენას. მაგრამ როცა გიორგიმ ზედიზედ რამდენიმე წინადადება მიყოლებით წარმოთქვა სრულიად გაუგებარ ენაზე, დედა ჯერ გაუჯავრდა, მერე კი წიგნი მოიმარჯვა, მოთხრობის შესაბამის ადგილებს სტრიქონ-სტრიქონ, მა-



სხვა მხრივ, გიორგი თითქოს არაფრით გამოირჩევა დანარჩენი თანატოლებისგან. სკოლაშიც ჩვეულებრი-

# არაჩვეულებრივი ბიჭი იბროიბ ეპატუაჟიმ

რჯვნიდან მარცხნივ გაადევნა თითი, და რა დარწმუნდა, რომ ბავშვი შეუცდომლად უკულმა იმეორებდა წაკითხულს, გაოგნდა. ბებია და პაპაც შეშფოთდნენ, ბიჭი რალაც ენაზე ალაპარაკდა, ვერაფერი გაგვივიაო. გიორგი კი ჩუმ-ჩუმად იცინოდა. „რწყილი და ჭიანჭველა“ წაუკითხეს და ისიც უკულმა გაიმეორა სიტყვასიტყვით. ასევე სხაპასუხობით ამბობს უკულმა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტებს, „მუნამბაზს“, სხვა ლექსებს. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არც ეს არის ყველაზე გასაკვირი. ჭეშმარიტად საოცარი ის არის, რომ უჩვეულო ნიჭით დაჯილდოებული ბიჭი იმ ენაზე წარმოთქმულ ყველაზე გრძელ წინადადებასაც კი დაუფიქრებლად იმეორებს უკულმა, რომელზეც ერთი სიტყვაც არ იცის. ამის შემოწმების საშუალება ჩვენ უშუალოდ მოგვეცა, როდესაც გიორგი მიქაუტაძე ბებიასთან და დედასთან ერთად გვეწვია რედაქციაში.

იქდა გიორგი, „ნაკადულის“ ახალ ნომერს ფურცლავდა და მშვიდად იმეორებდა გამოსაცდელად შეთავაზებულ გრძელ-გრძელ წინადადებებს ფრანგულ, ესპანურ, რუსულ, სომხურ ენაზე. ეს ის ენებია, რომლებიც რედაქციის თანამშრომლებმა ვიცით, თორემ სხვაგან და სხვაგან ბიჭისთვის არაბულ, თურქულ, ინგლისურ ენებზეც მოუწყვიათ გამოცდა და ყველგან აღტაცებულები დარჩენილან.

ვად სწავლობს, საშუალოდ, საგნებიდან განსაკუთრებით მხოლოდ მათემატიკა უყვარს, თითქმის ყველა თანაკლასელთან ამხანაგობს. თანამედროვე რიტმული მუსიკა მოსწონს, სევდიანი ჰანგები არ სიამოვნებს, მათი მოსმენისას თვალზე ცრემლები ადგება. ძალიან უყვარს მულტფილმები, მზად არის უსასრულოდ უყუროს ანიმაციურ კინოს. კი ცელქობს ხოლმე, მაგრამ უფრო ხშირად მშვიდად არის. მშობლების, ბებიების და პაპების მიმართ ძალიან თბილი და ყურადღებიანია.

გიორგი თვითონ ვერ აცნობიერებს, როგორ ახერხებს უკულმა ლაპარაკს, საამისოდ არც გონებას ატანს ძალას და არც რაიმე სრიკს მიმართავს, როგორც თვითონ ამბობს, ეს თავისით ხდება.

გიორგი მორწმუნეა, ახლავე ზრუნავს საკუთარ სულზე, ხშირად დადის ეკლესიაში, მოძღვარიც ჰყავს...

ჭერჭერობით ბოლომდე ვერც ის სპეციალისტები ხსნიან ამ უცნაურ ფენომენს, რომლებმაც ბიჭს მოუსმინეს და არც მშობლებმა იციან, რა მიმართულებით ჯობია შვილის იშვიათი ნიჭის წარმართვა. ალბათ, დროთა განმავლობაში გიორგი მიქაუტაძის ფენომენს გარკვეული ახსნა მოეძებნება და იგი სწორად, საკუთარი თავისა და სხვების სასიკეთოდ გამოიყენებს მისთვის ნაბოძებ იშვიათ ნიჭს. ჭერჭერობით კი გიორგი თბილისის 152-ე სკოლაში სწავლობს და სხვა თანატოლებით ცხოვრობს.





# საინფორმაციო ალანიანთა კლუბი

სნაირია, თან ქცევითი, რებე-რტუარი გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე ტურას ან მელას და მე-ორე და მთავარი ის არის, რომ იგი ძალიან მაღალი სოციალური



## იასონ ბადრიძე: მგელი მტაცებელი არ არის

წარმოგიდგენთ არასამთავრობო სამეცნიერო ორგანიზაცია „სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ ერთ-ერთ დამაარსებელს, მეცნიერებათა დოქტორს, მრავალი მეცნიერული შრომის ავტორს, ეთოლოგ იასონ ბადრიძეს, ადამიანს, რომლის „სრულყოფილი“ სტილის დაბალჭერიან, ვიწრო, ოროთახიან ქალაქურ ბინაში ორ ბავშვთან ერთად 15 მგლის ლეკვიც იზრდებოდა და რომელმაც რამდენიმე წელი მგლების სროგაში გაატარა.

—გატონო იასონ, რატომ გადაწყვიტეთ მინდვლამინდვ გლვანზე დაკვირვება და არა სხვა მტაცებელზე?

—თავიდან ვსწავლობდი ცხოველთა ქცევის ფიზიოლოგიურ მექანიზმებს, მერე თანდათან ვეკითხებოდი ჩემს თავს, რის მექანიზმებს ვსწავლობ? საერთოდ, ქცევის მექანიზმი რომ შეისწავლო, ამისათვის უნდა იცოდე ქცევა. აქედან ჩაეყარა საფუძველი ჩემს მუშაობას ეკოლოგიაში. ხოლო როცა ეკოლოგიაში დავიწყე მუშაობა, საკითხი შემდგენაირად დადგა: მაინც რომელი ცხოველი? მე მუდამ ძაღლებზე დაკვირვება მაინტერესებდა, რადგან შინაურ ძაღლებს ბევრი რამე აქვთ დაკარგული ქცევაში, ზოგი რამ მათ ან მთლიანად, ან კიდევ რუდიმენტის სახით უფუნქციოდ შემორჩათ. ამიტომაც გადავწყვიტე ველური ძაღლისნაირზე—მგელზე დაკვირვება. მგელი, ჭერ ერთი, ძალი-

ნირით ცხოვრობს, თან ჩვენში ის ძნელი მოსაძებნი არ არის.


—ძირითადად სად ახდენდით დაკვირვებას?

—ერთადერთი, სადაც დაკვირვება შეიძლებოდა, ნაკრძალი იყო, იქ მგელს შედარებით ნაკლებად აწუხებდნენ. თუმცა იქაც ხოცავდნენ, მაგრამ ეს გაცილებით ნაკლები პრესია იყო, ვიდრე დაუცველ ტერიტორიაზე. ყურადღება ბორჯომის ნაკრძალზე შევაჩერე.

—როგორ და რით დაიწყეთ?

—თავიდან ჭინჭების, ზეწრის ნახევების შეგროვება დავიწყე. ეს ყველაფერი ტანზე მქონდა ხოლმე შემოხვეული, რომ ჩემი სუნით გაჟღენთილიყო და როცა მგლების ძირითადი ბილიკები დავადგინე, ამ ბილიკებზე გარკვეული მანძილის დაშორებით ნაჭრების დაწყობა დავიწყე. დღის რომელიღაც მონაკვეთში მგლებს ამ ბილიკზე აუცილებლად უნდა გამოეველოთ. იქიდან გამომდინარე, რომ მე ჭერ დეტალურად არ ვიცოდი, თუ რომელ ბილიკზე რა დროს გამოივლიდა ცხოველი, ამიტომაც რამდენიმე ბილიკზე ვაწყობდი ნაჭრებს. რა თქმა უნდა, გამოვლისას ისინი სუნს გებულობდნენ და აყურადებდნენ. თავიდან ნაჭრებს შორიდან უვლიდნენ, ეშინოდათ, მერე მანძილმა იკლო და ბოლოს, უკვე ზედ გადადიოდნენ ამ ნაჭრებზე, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩემი აღარ ეშინოდათ.

—და მინც, როგორი იყო თქვენი პირველი შეხვედრა?



—ამის შემდეგ ინტენსიურად დავიწყე საშუალების ძებნა, რომ შევხვედროდი, თან უკვე ვიცოდი რა დროს, რომელ ბილიკზე უნდა ვყოფილიყავი. ერთხელაც ჩავუსაფრდი და... ვხედავ, მოდის წყვილი, ნელ-ნელა აგდებენ მოძრაობას, თან გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს თვალეში არ უნდა უყურო. ჩვენ შორის მანძილი მართალია, დიდია (დაახლოებით 50 მ), მაგრამ რახან გამოვიდნენ, მათ შიშის გრძობაც არა აქვთ. მოდიან ძუ და ხვადი, ეს ხდება იმ პერიოდში, როცა ოჯახი დროებით იყოფა და ქორწინების პერიოდი იწყება. ძუ გაჩერდა, ხვადმა მოძრაობა განაგრძო, გამისწორდა, პირისპირ გამოვიდა ჩემკენ და წამოვიდა. მომიახლოვდა დაახლოებით 10 მ-მდე, მიუტრა, კბილები დამიწკაპუნა (კბილების დაწკაპუნება დემონსტრაციაა), მიბრუნდა და წავიდა... შემდეგ უკვე, როცა ერთმანეთს შევხვდით, ოდნავ აიჩაგრა და კუდი დააქნია, ხორცის ნაჭერი გადავუგდე, აიღო, შეჭამა და წავიდა. ახლა უკვე ვიცოდი, რომ მათ ჩემი არ ეშინოდათ და ამის მერე ჩავსახლდი.

—რამდენი ხანი ბრძოლდებოდა დაკვირვება?

—დაკვირვების საერთო დრო, უშუალო დაკვირვება ცხოველებზე 1500 საათია. საერთო ჯამში ექვსი ოჯახი მყავდა მოჩვეული.



—ბატონო იასონ, ამოგზავნე, რომ გზავნი დააკვირება საკუთარ ორო-  
 ტახიან „ხრუშოვკაში“ გაზიზღულ-  
 ბიან, კი მაგრამ თქვენი შვილებიც ხომ  
 ამ ბინაში ცხოვრობდნენ?

—რა მექნა, სხვა გზა არ მქონ-  
 და, სად უნდა წამეყვანა ჩემი  
 მგლები, სანამ ველზე გავუშვებ-  
 ბდი, შინ მყავდა...

—რა დაბანახათ ამ დაკვირვებამ?

—ეს პერიოდი ჩემთვის იმით  
 იყო მნიშვნელოვანი, რომ საშუ-  
 ალება მომეცა, მენახა როგორ  
 ცხოვრობდნენ მგლები, თან მა-  
 შინ მგლებზე ჯერ ცოტა რამ იყო  
 ცნობილი. ამერიკელები მუშა-  
 ბდნენ, მაგრამ მათთან უკვე შე-  
 საძლებელი იყო რადიოსაკომუ-  
 ნიკაციო სისტემების გამოყენება  
 და თვალყურის დევნება ცხოვე-  
 ლებზე, ისე რომ თვალთ არ და-  
 ინახო, ქცევას კი ისინიც იშვი-  
 ათად სწავლობდნენ. გარდა ამისა,  
 მე არც წყარო მქონდა, რომ სა-  
 დმე წამეკითხა. მნიშვნელოვანი  
 ის არის, რომ ვნახე, როგორ აქვთ  
 მგლებს ოჯახი მოწყობილი, რა  
 ურთიერთობები არსებობს, რო-  
 გორ ზრდიან შვილებს. მინდა გი-  
 თხრათ, რომ მგელი საოცრად  
 მზრუნველი დედაა, ყოველივე ეს  
 მათი აღზრდის დროს ძალიან გა-  
 მომადგა.

სამწუხაროდ, დღეს მგლებზე  
 დაკვირვება ძვირი სიამოვნებაა,  
 ბოლო ოჯახი 1995 წელს გავუ-  
 შვი.

—ფლავრებში მგელი ბოროტი,  
 უღმრთო მტაცებელია, მართლაც  
 ასეთია თუ...

—მინდა გითხრათ, რომ მგელი  
 მტაცებელი არაა, მას არა აქვს  
 თანდაყოლილი მტაცებლური  
 ინსტინქტი. მართალია, მის ქცე-  
 ვაში რაღაც ნაწილი ინსტინქტუ-  
 რია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თა-  
 ნდაყოლილი ქცევა მარტო დაბა-  
 დების პირველ პერიოდში აქვს,  
 მერე ყველაფერი შექმნილია.  
 მსხვილ მტაცებლებს მტაცე-  
 ბლური ინსტინქტი არა აქვთ,



წვრილი მტაცებლისგან განსხვა-  
 ვებით, მათ გამოუმუშავებული  
 აქვთ თანდაყოლილი ქცევითი  
 კომპლექსი, რომელიც მიმართუ-  
 ლია მსხვერპლის დასაჭერად, მო-  
 საკლავად, შესაჭმელად.

—ცხადია, პირადად თქვენი და „სა-  
 ხოვანთა კონსერვაციის ცენტრის“ სა-  
 ზრუნავი მარტო მგლები კი არა,  
 მთლიანად საქართველოს ფაუნაა. რა  
 მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ფაუნა?

—სამწუხაროა, მაგრამ საქა-  
 რთველოს ფაუნა კატასტროფულ  
 მდგომარეობაშია. საერთოდ ნა-  
 დირის რაოდენობამ 70%-ით  
 იკლო. 300 ირემიღაა შემორჩე-  
 ნილი, შვლის რაოდენობა  
 40%-ით შემცირდა, ჯი-

ხვისა—50%-ით, მონადირეთა კა-  
 ვშირი, შეიძლება ითქვას, რომ არ  
 არსებობს...

კარგა ხანია იასონ ბადრიძე  
 იშვიათი ცხოველების აღდგე-  
 ნის ცენტრის შექმნისთვის  
 იბრძვის, მაგრამ შედეგს ვერ  
 მიაღწია, რადგან გეგმის გა-  
 ნხორციელებაში მხარი არაგინ  
 დაუჭირა. ყველაფრის მიუხედა-  
 ვად, იგი გაუნელებელი ინტე-  
 რესით, მონდომებით, შეპართე-  
 ბით უძღვება თავის საქმეს, გა-  
 მოცდილებას და ცოდნას უზი-  
 არებს უმცროს თაობას და რაც  
 მთავარია, იბრძვის საქართვე-  
 ლოს ფაუნის გადასარჩენად.

იკა ჯალაღანი



# მიქელანჯელო

## ვასილ ივანოვი

### მოთხრობა

სახლიდან წითელი ფერის გრძელ სამოსში გამოწყობილი ხნიერი მამაკაცი გამოვიდა და კიბის ზედა საფეხურზე შეჩერდა.

—მიქელანჯელო!—გასძახა შვილს.

—აქა ვარ, მამა!—მოისმა პარკის ხილრმიდან ბავშვის წკრიალა ხმა.

ხეივანში თორმეტოდე წლის ბიჭი გამოჩნდა. შიშველი მუხლები და ტანსაცმელი ტალახში მოხვროდა. ხელში ჩაქუჩი და საჭრეთელი ეჭირა.

—შენ ისევ არ ეშვები ამ ტალახს და ქვებს?—გაუჭავრდა მამა.—ისევ თინაში ითხუბნები? ახლავე შემოდი და დაიბანე!

ბიჭი თავჩაღუნული გაუყვა ბილიკს.

სახლიდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა.

—ოჰ, ლუკრეცია,—საყვედურით მიმართა კაცმა.—ეს ბავშვი სულ წავიდა ხელიდან, გადაჰყვა ქვების თლას და ტალახის ზელვას.

მიქელანჯელოს დედამ ქმარს მშვიდი მზერა მიაპყრო:

—ჩემო კარგო, რას ერჩი ამ ბავშვს? ხომ იცი, ჩაქუჩის კაკუნი და ძერწვა ბავშვებს ყველაფერს ურჩევნიათ.

—შენ ხომ ეგ ყოველთვის უნდა გაამართლო!

—ჯერ ბავშვია! აქ, კაბრეზეში, ყოველ ნაბიჯზე სვდება ქვა და მარმარილო, ყოველთვის ხედავს ჩაქუჩით და საჭრეთლით შეიარაღებულ ოსტატებს, და მაგასაც სიამოვნებს მიბაძვა. ნუ დავუშლით.

—მიქელანჯელო ქვისმთელის შვილი არ არის!—უკმაყოფილოდ თქვა მამამ.—ქალაქის მმართველის ოჯახში დაიბადა! აი, ხვალვე გავგზავნი ფლორენციაში! დაე, ფრანჩესკოს სკოლაში აღიზარდოს, ლათინურს მინც ისწავლის.

მეორე დღეს ბიჭი პროფესორ ფრანჩესკო და ურბინოს ლათინურ სკოლაში მიიყვანეს. მამამ სთხოვა ფრანჩესკოს, ესხნა მისი შვილი „ცუდი“ მიდრეკილებისაგან და მისთვის გრამატიკისა და მეცნიერების

სიყვარული ჩაენერგა. მაგრამ ეს საკმაოდ ძნელი საქმე გამოდგა. ბიჭს ფუნჯსა და ფერებზე ამოსდიოდა მზე, ქვა კი ყველაზე საინტერესო წიგნს ერჩია. მისი რვეულები ნაირფერი ნახატებით იყო აჭრელებული.

ერთხელ პიეტრო გრანასიმ, მხატვრის ვაჟმა, მიქელანჯელოს ჰკითხა:

—გინდა, დიდი ფერმწერის სახელოსნოში წაგიყვანო?

—რა თქმა უნდა!—მიუგო მან.

მეორე დღეს პიეტრომ იგი საქვეყნოდ ცნობილ დომინიკო გირლანდაიოს სახელოსნოში მიიყვანა. დანახა თუ არა დიდებული ქანდაკებები და ფერწერული სურათები, რომლებიც მხატვრის სახელოსნოს ამკობდნენ, მიქელანჯელო გაოცებისგან გაქვავდა. წარმოსადეგი გარეგნობის, უღვაშა, მსუბუქად ჩაცმული გირლანდაიო მოლბერტთან იდგა და ხატავდა. პიეტრო გრანასიმ ხელოვანს თავისი მეგობარი გააცნო და სთხოვა, თუ შესაძლებლობა გაქვთ, იქნებ ხატვის გაკვეთილები მისცეთო.

გირლანდაიომ დაკვირვებით შეხედა მიქელანჯელოს.

—ჰმ,—დაიბუბუნა მან კარგი, ვთქვათ, თანახმა ვარ მოგცე გაკვეთილები, მაგრამ რით შეგიძლია დამიმტკიცო, რომ სერიოზული მოწაფე იქნები?

შემკრთალმა მიქელანჯელომ თან წამოდებული საქალღდე გახსნა და რამდენიმე ნახატი ამოიღო. გირლანდაიომ ყურადღებით დაათვალიერა ისინი.

—საკვირველია!—წამოიძახა მან, ჭეშმარიტად საკვირველება! მაშ, შენ გინდა ჩემი მოწაფე გახდე?

—დიახ, მაესტრო... მაგრამ მამაჩემი ალბათ არასოდეს დამანებებს ამას.

—ვითომ?! კარგი, ეს საქმე მე მომანდე.

მეორე დღეს გირლანდაიო სეტიანიანოს სასახლეს ეწვია. იგი ალტაცებით მოუთხრობდა მამას მიქელანჯელოს არაჩვეულებრივი ნიჭის შესახებ.

—გამოცდილი მასწავლებლის ხე-

ლომდევანელობით,—უმტკიცებდა იგი,—მიქელანჯელო სულ მაღორტა-ლიის დიდი მხატვარი გახდება.

მამამ ნალვლიანად ამოიოხრა:

—რა გაეწყობა... ასეთი ყოფილა დე კანოზის გრაფთა კეთილშობილი გვარის შთამომავლის ბედი—მღებავი არარაობა!

მამამ მიქელანჯელო მოიხმო და ცივად მიმართა:

—დღეიდან შენ გირლანდაიოს მოწაფე ხარ და მასთანვე იცხოვრებ. ამიერიდან ჩემს სახლში შენთვის ადგილი აღარ არის!..

გირლანდაიო იმდენად მოიხიბლა ახალი მოწაფის ნიჭით, რომ გულს ვერ იჭერებდა მისი სიყვარულით და ქება-დიდებას არ აკლებდა მას.

მიქელანჯელოს ერთ-ერთ თანაკლასელს, პიეტრო ტორეჯიანოს საშინლად შურდა ამხანაგის წარმატება. ერთხელ ბიჭები პატარა ეკლესიის კედლის მოხატვაზე მუშაობდნენ. მიქელანჯელომ შენიშვნა მისცა პიეტროს, ნახატზე უუქ-ჩრდილი შეცდომით გაქვს განაწილებულიო.

—სხვის საქმეში ნუ ერჩები!—აენთო ტორეჯიანო.—მე იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი, ვინც შენი მხატვრობით აღფრთოვანებულია!

—მე კეთილ რჩევას გაძლევ,—მოკრძალებით მიუგო მიქელანჯელომ.—თუმცა... იქნებ შენ ჩვეულებრივ ხელოსნად გინდა დარჩე?

—ხელოსანი შენ თვითონ ხარ!—მიანახლა ტორეჯიანომ და გაბრაზებულმა სახეში გაართქვა.

უღირსი მოწაფე მეორე დღესვე გააძევეს გირლანდაიოს სახელოსნოდან, მაგრამ მიქელანჯელო მთელი სიცოცხლის მანძილზე ფიზიკურად დამანინგებული დარჩა...

კაპრეზელი ჭაბუკი არა მარტო ხატავდა, არამედ ქვასაც ამუშავებდა დიდი მონღომებით.

ერთხელ მან ამხანაგთან ერთად ფლორენციის მმართველის, ლორენცო მედიჩის პარკი დაათვალიერა. ვრცელი პარკის ერთ კუთხეში ოსტატები სხვადასხვა ფიგურებს აქანდაკებდნენ. მათ შორის მიქელანჯელოს ერთ-ერთი კაპრეზელი ნაცნობიც აღმოჩნდა.

—გამარჯობა, მიქელანჯელო!—შესძახა მან.—რაო, ხომ არ დაივიწყე ჩაქუჩი და საჭრეთელი?

ჭაბუკმა გირლანდაიოს სახელოსნოში საქმიანობაზე უამბო და სინა-



ხულით დასძინა:

—მე რომ აქ მარმარილო, ჩაქუჩი და საჭრეთელი მქონდეს, ხატვაზე უარს ვიტყვოდი.

—მოდი ჩვენთან და, რაც აუცილებელია, ყველაფერი გექნება.

იმ დღიდან ახალგაზრდა მხატვარი მედიჩის პარკის ხშირი სტუმარი გახდა.

ერთხელ, ის იყო მიქელანჯელო მოხუცი ფავნის ქანდაკებას ამთავრებდა, რომ მასთან საკმაოდ შეუხედავი ორმოციოდე წლის კაცი შეჩერდა და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა ჭაბუკის ნამუშევარს. მერე ავტორს მხარზე დაადო ხელი და უთხრა:

—მეგობარო, ერთი პატარა შენიშვნა უნდა მოგცე!

მიქელანჯელომ გაკვირვებით შეხედა.

უცნობმა ქანდაკებაზე მიუთითა და ჰკითხა:

—სად გინახავს, რომ მოხუცს პირი კბილებით ჰქონდეს სახვე?

მიქელანჯელო ყურებამდე გაწითლდა.

უცნობის წასვლის შემდეგ მიქელანჯელომ ფავნს ჩაქუჩით ორი კბილი ჩაუშტვრია.

მეორე დღეს პარკში რომ მივიდა, თავისი ფავნი ადგილზე აღარ დახვდა.

მალე გამოჩნდა გუშინდელი უცნობიც. მიქელანჯელომ სასოწარკვეთით აუწყა მომხდარი ამბავი.

—ქანდაკება ჩემი ბრძანებით წადიღეს. — თქვა უცნობმა.

—როგორ? როგორ გაბედეთ!

—წამომყევი, გაჩვენებ შენს ფავნს.

სასახლისკენ გაემართნენ. როცა ვესტიბიულში შევიდნენ, მიქელანჯელომ შეამჩნია, რომ ყველა მსახური მოწიწებით უხრიდა თავს უცნობს.

„ალბათ ვინმე დიდგვაროვანია“, — გაიფიქრა ჭაბუკმა.

გაიარეს რამდენიმე დარბაზი, გალერეა და უცებ მიქელანჯელო ხელოვნების ნაწარმოებთა უმდიდრესი კოლექციის წინაშე აღმოჩნდა, მათ შორის იყო ლამაზ კვარცხლბეგზე შემდგარი მისი ფავნიც.

დარცხვენილი და აღელვებული მიქელანჯელო მიხვდა, რომ ეს უცნობი ფლორენციის მმართველი ლორენცო მედიჩი იყო.

ახე დარჩა იგი სამუშაოდ სასა-

ხლესი.

მრავალი წლის განმავლობაში მფარველობდა ლორენცო მედიჩი მიქელანჯელოს. ჭაბუკი ვაჟაცდებოდა, სწრაფად იფურჩქნებოდა მისი არაჩვეულებრივი ნიჭიც.

გავიდა ხანი და მიქელანჯელო თავისი დროის უდიდეს მოქანდაკედ აღიარეს.

მედიჩის გარდაცვალების შემდეგ მიქელანჯელომ მიატოვა ფლორენცია, შემოიარა მთელი იტალია და დაბრუნდა რომში, სადაც იგი რომის პაპმა, იულიუს მეორემ მიიწვია. პაპის შეკვეთით მან რამდენიმე ნაწარმოები შექმნა, რომლებმაც უკვდავყვეს გენიალური მოქანდაკისა და ფერმწერის სახელი. მიქელანჯელოს მონატულია წმინდა პეტრეს ტაძარში სიქსტის კაპელის საკურთხევლის კედელი, რომელსაც ამშვენებს ფრესკა „განკითხვის დღე“, მან გამოაქანდაკა საქვეყნოდ ცნობილი

„მოსე“ და „დავითი“, გუჩინათი ადგა რენესანსის დიდებულ არქიტექტურულ ძეგლს, სან-პიეტროს ტაძარს.

მრავალი წლის შემდეგ მიქელანჯელოს მოენატრა მშობლიური კაპრეზე, მოუნდა ერთხელ კიდე ეხილა ის სანუკვარი ადგილები, სადაც ბავშვობის წლები გაატარა, მოქალაქეებმა ბრწყინვალე შეხვედრა მოუწვევს დიდ ხელოვანს. მამა კი სახელმძღვანელო შვილს ასეთი სიტყვებით შეხვდა:

—ჩემო შვილო, ოდესღაც მე შენ ქვისმთლელი გიწოდებ, დღესაც ჩემი პატარა „ქვისმთლელი“ ხარ, მაგრამ როგორი სიამაყით წარმოვთქვამ ახლა ამ სიტყვას!

მიქელანჯელო მოწიწებით ეამბორა ხელზე მამას.

ბულგარულიდან თარგმნა ამირან ღებუშაძემ







# მსოფლიო კიდით კიდევდა

## შვედეთი

შვედებმა კარლსონს მიხედეს

როგორც იქნა ასტრიდ ლინდგრენის სამშობლოში გადაიღეს მულტიპლიკაციური ფილმი კარლსონზე, რომელიც სახურავზე ცხოვრობს. სრულმეტრაჟიანი ფილმი დიდებული შვედი მწერლის გმირზე, რომელსაც დღეს მთელ მსოფლიოში იცნობენ, კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით შეიქმნა. ამან კი მისი სხვადასხვა ვიდეოეფექტებით გაჯერების საშუალება მისცა.

## დიდი ბრიტანეთი


ჰარი პოტერის ტრიუმფი

დიდ ბრიტანეთში პატარა მკითხველებსა და მათ მშობლებს შორის ჩატარებული გამოკვლევის შედეგად ჯოუნ როულინგის წიგნი „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“ ყველა დროის საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებად იქნა

აღიარებული. მთელ მსოფლიოში სადღეისოდ გაყიდულია „ჰარი პოტერის და ფილოსოფიური ქვის“, „აზკაბანის პატიმრის“ და „საიდუმლო ოთახის“ 100 მილიონზე მეტი ეგზემპლარი.

## იაპონია

რობოტი მუცლის ცეკვას ასრულებს



იაპონელებმა პირველებმა ასწავლეს რობოტს დამოუკიდებლად დაწოლა და ადგომა. ასეთი რობოტი 154 სანტიმეტრის სიმაღლისაა და 58 კილოგრამს იწონის. დასაწოლად და ასადგომად რობოტს დაახლოებით 60 წამი სჭირდება. მოწინავე სამრეწველო მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ეროვნულ ინსტიტუტში ახლა იმაზე მუშაობენ, რომ ჰუმანოიდმა უფრო სწრაფად შეძლოს ადგომა. წინა მოდელისგან განსხვავებით, ამ რობოტს, ისევე როგორც ადამიანს, მოძრავი ზურგი აქვს და მას მუცლის ცეკვის მსგავსი მოძრაობების შესრულებაც შეუძლია.

## აშშ


სტივენ სპილბერგის შვილები ტელევიზორს არ უყურებენ

ცნობილ ამერიკელ კინორეჟისორს სტივენ სპილბერგს და არანაკლებ ცნობილ კინომსახიობს ტომ კრუსს მიაჩნიათ, რომ ტელევიზორს ბავშვებისთვის კარგი

არაფერი მოაქვს და ამიტომაც საკუთარ შვილებს იშვიათად აყურებინებენ ცისფერ ეკრანს.

კრუსმა თავის შვილებს სპეციალური გრაფიკი დაუნიშნა—კვირაში მხოლოდ სამი საათი. სპილბერგის შვილებს კი დღეში მარტო ერთი საათი თუ ართვევინებენ ტელევიზორს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ გაკვეთილები მომზადებული აქვთ.

ორივე შემოქმედს მიაჩნია, რომ ტელევიზორი ბავშვებს წიგნისადმი ინტერესს უკარგავს, რაც საბოლოო ჯამში სავალალოდ აისახება მათი განათლების დონეზე.







ოფთმსერი



შემოდგომამ გააცილა  
უდარდელი ზაფხული,  
სად გვცალია უქმად ყოფნა,  
საქმე გვაქვს არნახული.

კარგად ვიცით—შრომის ნერგი  
მხოლოდ ოფლით იხარებს,  
დროის ფუჭად მფლანგველი კი  
ვერასდროს გაიხარებს.

ბაბუს სახლშიც ყველა შრომობს,  
ვუვლით ვენახს, ყანას;  
და ამ შრომით დოვლათს ვმატებთ  
ჩვენს ლამაზ ქვეყანას.

რა ქნას ბაბუმ? შრომობს, წვალობს,  
წევს ოჯახის ჭაპანს,  
ასეც ჰქონდა ჩვევად უწინ  
იმ ჩვენს მამა-პაპას.

ხან კაკალს კრეფს, შეშას ჩეხავს,  
ტეხს სიმინდის ყანას,  
მზრუნველობას სულ არ აკლებს  
თხას, ღორსა და ქათამს.

დღეს მთელი დღე ზურგით ზიდა  
ყურძნით სავსე კალათა,  
დღის ბოლოს კი დაქანცული  
ღვინოს მოუკალათდა.

6 წლის იცო მუცა ქუბისე, ბდრესაც ბდგობც განსაკუთრებული ნიქით დჯოდრეძული მაქმე, სქცქბთუღბს განხატოღბის მინისცდბის მბძმანეძბით ჰბბდქაბბ მქსამქ კლასბი დასეუქ. ასლქ 7 წლის მუცქ მალდდის №2 სქმუკლბ სქბლის მუ-4 კლასბის მბსწქლუქქ და ბბდგობც სქბლის დბბრქცდბბბ მჭფბნი მუქსუცბ მსსქილამქ დქ კლასბის სქლბმბლუკ-ნელი ცქლმჭფბნი ნანი ცქსმქკამქილი აბმბმუნ, მთულ სქბლამბ თბბბბ სქჩეუნქმულიქ. ჰჭფბქ მუცქმ წქლს წჭბმჭფბბბთ იქსჰბბრჭქ მქთუმჭფიკუნ ბბნუქბსბი დქ ჯბბ სქბლის მჭსმჭფამბბთ გქბმბბბჭუქ, მბბქ კბ ბბნუქბსბის სქცქლქცდბ დქ ბბბბბბულ უცქკემჭქ იქსქსულქ თქბბ. მქთუმჭფბბბის გჭბბ, მუცქს ლბცრბჭფბბბბც უცქჭბს, მბნ გქკბბბდ იცის „უცსბისცქცქბბსბის“ 150 სცბბბბბბ. ცქულქბუბბბნ ქბბდ მუცქ თუბბბბბბც წქბს ლუცქსემს.

სვალბნდელ დღეს ვბუბნებბ

საწნახელში ყველა ქვევბრბ  
ყურძნბს წვენბბთ აავსბ,  
კარგი ღვბნბს დქყენებბბთ  
მტერბს თვალბც დაავსბ.

დედბკუნქ კობბბბბტს ხარშავს  
დქ ქბლებბში ასსამს,  
კატუშა კბ ჩურჩხელბსთვბს  
ნბგბზს ბჭუზექ აცვამს.

დედბებბც ფუსფუსებბენ,  
კბ არ სძბნავბ ლბგბბში,  
კარგი სქმბბთ თავს იქებბენ  
გათხბვებბს ლბდბბში.

სწავლბს მერექ მეც მათბბნ ვარ  
შრომბბთ, გარჩბბთ, ფბქრებბბთ,  
განქ კბდევ ბბბბრბ ვარ,  
მალექ რვქ წლბს ვბქნებბ.

ერბმბნბბბბს გვერდბბთ ყოფნქ  
შრომბს მბტებს ხალბს,  
ხობლბ კარგი მოსავალბ  
რწმენბს გვბბბლევს სვალბს.

დბდბ ჯჭფბბთ, სწავლბბთ, გარჩბბთ  
ჩვენს სბცბცსლექ ვბმშვენებბთ,  
დქ ღვბბის მბდლბბთ ყველქ ერბბდ  
სვალბნდელ დღეს ვბშენებბთ.



# ჩვენი თხზი სკოლის გაჩვენა შეგ წაჩვეთიდგენია

დუაქე სოფო, დუაქე სალომე, კურტანიძე დათო, კუბლაშვილი ანდრო, მამაგვიშვილი დათო, მწითური მარი, აბრამიშვილი ლევან, ხუციშვილი თიკო, ჩანჩალაშვილი ნიკა, დანელია აკაკი, წივილაშვილი სალომე, ნიკოლაშვილი ჯული, მასურაშვილი ლაშა, მამუჩიშვილი სოფო, ცერცვაძე მერაბ, ქურასბედიანი ანა, მწითური მარი, ლეჟავა ვანიკო, ნიორაძე ნინო, სიგუა მონიკა, ჯამასპიშვილი თამარ, ფორჩხიძე ნინო—ამოიკითხავს ინეზა მასწავლებელი კლასის სიას, გადახედავს კლასს, საერთო განწყობას შეამოწმებს, გაიღიმებს, მზერით მიუალერსებს ყველას და მორიგ გაკვეთილს იწყებს.

და ეს გაკვეთილი არასდროს არის მხოლოდ მშობლიური ენის, მათემატიკის თუ ბუნებისმეტყველების ჩვეულებრივი გაკვეთილი, რომელზეც მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, ისინი კი უსმენენ. ინეზა ფრანგიშვილი არასდროს კმაცოფილდება სახელმძღვანელოთი, არც გაკვეთილის მსვლელობას გეგმავს წინასწარ. მისი ყველა გაკვეთილი მოსწავლე-მასწავლებლის თანამშრომლობაზეა აგებული,



ნაარსს მიჰყვნიენ, თემასა და იდეაზე ისაუბრონ, მოცემულ საკითხზე თანამედროვეობასთან შეფარდებით იმსჯელონ თუ მხოლოდ ნაწარმოებში მოცემული ისტორიული ეპოქის შესწავლა ამჯობინონ. ბავშვები ხალისით ყვებიან მასწავლებელს, მოსწონთ, რომ ის ყოველთვის ითვალისწინებს მათ აზრს. სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგად დაიბადა ინტელექტუალური თამაშების ჩატარების იდეა. ინეზა მასწავლებელი სათუთად ინახავს თავისი პატარების ნაწერებსა თუ ნახატებს თავისუფალ თემაზე: „დედის ნატვრა“, „დაშაქრული მტევანი“, „დედაჩემი“, „ვინ ვარ მე“? „რას ვუსურვებდი ჩემს შვილს“, „მე-100 გაკვეთილის იუბილე“, „ჩვილი ყურძნის მტევნისა“ და სხვ.

ინეზა ფრანგიშვილს არასდროს ავიწყდება ის მოწინებული სიყვარულის გრძნობა, რომელსაც თავისი დაწყებითი კლასების მასწავლებლის ვერა პაპინაშვილისადმი განიცდიდა და ყოველთვის ცდილობს მოსწავლეებთან ურთიერთობაში მას ჰგავდეს და თუკი რომელიმე მოსწავლის მხრიდან მისდამი ასეთივე დამოკიდებულებას იგრძნობს, თავი ბედნიერად მიაჩნია.



ინეზა ფრანგიშვილისა და მისი მოსწავლეების მეგობრობა მერეც გრძელდება, როცა ისინი პირველ მასწავლებელს ემშვიდობებიან და შემდეგ საფენურზე აგრძელებენ სწავლას. ხშირად აკითხავენ, რჩევას სთხოვენ, გულის ნადებს უზიარებენ... ბევრი მათგანი კი სკოლის დამთავრების შემდეგაც არ ივიწყებს პირველ მასწავლებელს, ხშირად შეუვლის ხოლმე მოსანახულებლად. მოსწავლე-მასწავლებლის ამ კეთილი, მეგობრული ურთიერთობისა და ერთსულოვნების ნიშნად შრიალებს დღეს ლისის ტყის ავტოდრომზე „პირველკლასელთა ხეივანი“, რომელიც ინეზა მასწავლებელმა და მისმა 1988 წლის პირველკლასელებმა საკუთარი ხელით გააშენეს.

სკოლა ის სამყაროა, რომლითაც ვსუნთქავ და ვარსებობ—ამბობს ინეზა ფრანგიშვილი, ჩემი თავი სკოლის გარეშე ვერ წარმომიდგენია. როცა არდადეგებზე მიწევს ხოლმე სკოლაში მისვლა, ჩემი კლასის კარის შეღებაც კი არ მინდა, ცარიელი მერხების დანახვაზე თითქოს გულიც მიცარიელდება.

უკვე 24 წელია მუშაობს ინეზა ფრანგიშვილი თბილისის 62-ე სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად, ზრდის და აკვლიანებს გოგო-ბიჭებს, ცოდნის წყურვილს უღვიძებს, სულს უფაქიზებს, სიყვარულს და სიკეთეს უნერგავს.

თამუნა ბველესიანი



# გლსაჟსე სიკეთითა და სიყვარულით

უენეა უიჩკით რუმ შთაწახს

რამდენი რამ არის დამოკიდებული პირველ მასწავლებელზე, ადამიანზე, რომელიც ცოდნის სამყაროში უნდა შეუძღვეს ბავშვს, რომელმაც მარტო ანა-ბანა, თვლა და ანგარიში კი არ უნდა ასწავლოს მას, არამედ ის საფუძველიც უნდა შეუქმნას, რომელზეც მისი სულიერება უნდა ჩამოყალიბდეს, რომელზეც ბავშვი პიროვნებად ჩამოიქნება. პირველკლასელი გოგო-ბიჭებისთვის მათი მასწავლებელი ყველაზე ლამაზიც არის, ყველაზე ჰკვიანიც, ყველაზე კეთილიც. გაფაციცებით ადევნებენ ისინი თვალს მასწავლებლის ყოველ მოძრაობას, ჩაცმა-დასურვას, ვარცხნილობას, მიხვრა-მოხვრას, ხარბად ისმენენ მის ყოველ სიტყვას და სულ მალე იგი მათთვის ურყევი ავტორიტეტი ხდება. „მასწავლებელმა ასე თქვა“, „მასწავლებელს ასე აცვია“—მორჩა და გათავდა. დიდხანს, ძალიან დიდხანს რჩება პირველი მასწავლებელი ნიშნად ყველგან და ყველაფერში.

ამ მხრივ ნამდვილად უმართლებს იმ გოგო-ბიჭებს, რომლებიც ნათია ფასურიშვილის კლასში ხვდებიან. მისი სახით ისინი გულთბილ, ღიმილიან, მზრუნველ, სიკეთით სავსე, ერთგულ, მცოდნე და განათლებულ მასწავლებელს, უფროს მეგობარს და გულის მესაიდუმლეს იძენენ. რომ ჰკითხოთ მის მოსწავლეებს, მაინც რატომ გიყვართ ნათია მასწავლებელიო, გიპასუხებენ: იმიტომ, რომ კეთილიაო, იმიტომ რომ ლამაზიაო, იმიტომ რომ თვითონაც ვუყვარვართო, იმიტომ რომ ბევრ რამეს გვასწავლისო... ასეც არის—პატარები ხომ ყველაზე უკეთესად აფასებენ მასწავ-



ვლებლის ავსაც და კარგაც.

33 წელია ნათია ფასურიშვილი თბილისის 55-ე სკოლაში მუშაობს, იგი დაწყებითი კლასების მასწავლებელი გახლავთ. ვინ მოთვლის, გოგო-ბიჭების რამდენ თაობას ასწავლა ამ ხნის განმავლობაში წერა-კითხვა, რამდენი აზიარა მშობლიური ენის, მამულის სიყვარულს, რამდენს ჩაუნერგა სიკეთე, რამდენი გაათბო ღიმილითა და ალერსით. მოწყენილი, გაბოროტებული, მოუწესრიგებელი, უიმედო არასდროს სჩვენებია მოსწავლეებს და არც ახლა ეჩვენება. მოთმინებით, სიყვარულით და რუდუნებით ასწავლის ნათია მასწავლებელი პატარა ადამიანებს და წამითაც არ ავიწყდება, რომ მასწავლებლის მოვალეობა მარტო სწავლება კი არა, აღზრდაცაა. აღზრდის ხელოვნებას კი გამოცდილი პედაგოგი სრულყოფილად ფლობს, იცის როგორ ბავშვს როგორ მიუდგეს, როგორ

დაუმეგობრდეს. ყველაზე მოუსვენარს და ცელქსაც კი იშვიათად თუ გაუწყრება, ცდილობს არავინ დასაჯოს. არასდროს უცდია გაზებპირებული დიდაქტიკური შეგონებებით მიეხვედრებინა ბავშვი ურიგო საქციელის მიუღებლობაში. მშვიდად, უბრალო და ცოცხალი მაგალითების მოშველიებით ცდილობს სთესოს მოსწავლეებში სიკეთე, დაარწმუნოს ისინი ცოდნა-განათლების აუცილებლობაში, გამოუმუშავოს თვითდისციპლინა, სწავლის ჩვევები და კულტურა.

ნათია მასწავლებელი კოლეგებსაც ძალიან უყვართ. ისინი დიდად აფასებენ მის მაღალ პროფესიონალიზმს, პატივს სცემენ კომპეტენტურობის, საქმის ერთგულების, ობიექტურობისა და პრინციპულობის გამო, უყვართ სიკეთის, გულითადობისა და სანდოობისთვის.

ნათია ფასურიშვილის მაღალი პროფესიონალიზმი და ოსტატობა მრავალი სიგელით, მაღლობით, დიპლომით თუ სამკერდე ნიშნით აღინიშნა, ბოლოს კი უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდების მიწიებით დაგვირგვინდა.

კიდევ ბევრ თაობას დააფრთხანებს ნათია მასწავლებელი, ბევრს გაუძღვება ცოდნის სამყაროში, ბევრს ჩაუნერგავს სიყვარულს და სიკეთეს და მათი სახით ქვეყანას, საზოგადოებას განათლებულ, ზნეკეთილ, შეგნებულ მოქალაქეებს მოუმზადებს.

თინათინ მახათაძე





# ბავშვთა შემოქმედების კვირეული „ჩემი ლამაზი ქვეყანა“

საქართველოს პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირი 12 წლის წინათ დაფუძნდა. ამ

ანსამბლების, სამეჯლისო ცეკვების სტუდიების შექმნის მძლავრ სტიმულად, ნორჩ შემსრულებელთა შემოქმედების, ნიჭიერთა ახალი თაობის, მათი აღმზრდელების წარმოჩენის საუკეთესო საშუალებად იქცა და გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული კულტურის აღორძინების საქმეში.

გამოხდა ხანი და დაიბადა ახალი იდეა—ფესტივალების ნაცვლად ბავშვთა და მოზარდთა ხალხური შემოქმედების კვირეულების ჩატარება. პირველი ასეთი რესპუბლიკური კვირეული XXI საუკუნის პირველივე წელს, 2001 წელს გაიმართა.



ხნის განმავლობაში მან ბევრი რამ გააკეთა ქვეყნის და ხალხის სასიკეთოდ. ბავშვთა და მოზარდთა ხალხური შემოქმედების განვითარების საქმეშიც თქვა თავისი სიტყვა. და ეს მაშინ, როცა აგრერიგად აკლდა ხელშეწყობა და დახმარება პროფკავშირების მესვეურთა მხრიდან. შემოქმედთა კავშირი მისი ხელმძღვანელობა და კოლექტივი მაშინაც კი ახერხებდნენ სიხარული მიენიჭებინათ ბავშვებისათვის, როცა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისით გათანგულ ქვეყანაში საყოველთაო არეულობის ვითარებაში ჩვენი პატარები უყურადღებოდ დარჩნენ. ბავშვებზე ფიქრი ამოძრავებდა მათ, როცა სასწაულებრივ მაინც ახერხებდნენ პატარებისთვის სხვადასხვა ღონისძიების, შეხვედრების, საშობაო-საახალწლო შეიმების მოწყობას და ღიმილსა და სიხარულს უბრუნებდნენ მათ. იმ პერიოდშივე ჩაეყარა საფუძველი ბავშვთა და მოზარდთა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური ჟანრობრივი ფესტივალების და კონკურსების ჩატარებას. პირველი ამგვარი ფესტივალი დევიზით „ჩემი ლამაზი ქვეყანა“ 1994 წელს ჩატარდა და მან მრავალი საინტერესო, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებელი თუ კოლექტივი გამოავლინა. ფესტივალი ტრადიციულად იქცა და პირველს მოჰყვა მეორე (1997 წ.), მერე კი—მესამე რესპუბლიკური ფესტივალი (1999 წ.). ეს ფესტივალები ახალ-ახალი ხალხური ცეკვების კოლექტივების, გუნდების, ხალხური საკრავების,



რთა და ცხადი გახდა, რომ იდეამ გამართლა. თავიდანვე მკაფიოდ გამოიკვეთა ამგვარი ფესტივალების თუ კვირეულების მთავარი მიზანი—ვაზიაროთ ჩვენი ბავშვები და მოზარდები ქართულ ხალხურ კულტურას, ჩავუნერგოთ სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების გრძნობა, ეროვნული ტრადიციების პატივისცემა, დავიცვათ ისინი ქუჩის მავნე ზეგავლენისაგან, მოვამზადოთ ახალი თაობა ქვეყნის სამსახურისთვის, დავაახლოოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ყმაწვილები. ბავშვთა თვითშემოქმედების რესპუბლიკურმა დათვალთქმებამ მხოლოდ ფორმა შეიცვალა ერთგვარად, დევიზი კი უცვლელი დარჩა—„ჩემი ლამაზი ქვეყანა“. ამ დევიზით ჩატარდა წლეგანდელი II რესპუბლიკური კვირეულიც. კვირეული 14 მაისს გაიხსნა ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გალერეაში, სადაც ბავშვების ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. 15-19 მაისს პროფკავშირების სასახლეში ჩატარდა კვირეულის პროგრამით გათვალისწინებული ქარ

თული ხალხური, თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვების, საესტრადო სიმღერების, გუნდების, ხალხური საკრავების კოლექტივების, ნორჩი დეკლამატორების კონკურსები. კონკურსებში მონაწილეობდნენ კოლექტივები და შემსრულებლები თელავიდან, ფოთიდან, ხარაგაულიდან, ბორჯომიდან, კასპიდან, წყნეთიდან, ქუთაისიდან, ადიგენიდან, თბილისიდან, საქართველოს ბევრი სხვა ქალაქიდან თუ რაიონიდან. ტრადიციისამებრ კონკურსების ჟიურის შემადგენლობა წარმომადგენლებითი და პრესტიჟული იყო: კომპოზიტორი ოთარ ტატიშვილი, მომღერალი ნუკრი კაპანაძე, სახელმწიფო რადიოპროგრამების დირექტორი მუსიკათმცოდნე მანანა ხვედელიძე, რადიოს დირექტორი ჯემალ მელქაძე, ხელოვნების დამსახურებული მუშაკი ლილია ლესოვა, რესპუბლიკის სახალხო არტისტები თენგიზ უთმელიძე, ნინო კირვალიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბორის საჩაია, კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედე-



ბის რესპუბლიკური ცენტრის განყოფილების გამგე, ფოლკლორისტი დოდო თაქთაქიშვილი, ხელოვნების დამსახურებული მუშაკი ნუკრი კელატარაშვილი. ჟიურის პირუთენელი შეფასების შედეგებით პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურეს ქ. ფოთის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედი“ (ხელმძღვანელი მალხაზ მაკარიძე) და ქ. თბილისის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ეგრისი“ (ხელმძღვანელი გიორგი ფილიშვილი), მეორე ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდნენ ქ. რუსთავის ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალხინო“ (ხელმძღვანელები შალვა



პაპიაშვილი) და ქ. თბილისის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბახტრიონი“ (ხელმძღვანელი კობა ბუალავა), გოგონათა ანსამბლი „ძველი თბილისი“ (ხელმძღვანელი ეკა ჩაჩავა და დალი პაპინაშვილი), მესამე ხარისხის დიპლომი ერგო ხარაგაულის ფოლკლორულ ანსამბლს „საუნჯე“.

გუნდებს შორის უიურიმ საუკეთესოდ ცნო ქ. კასპის გუნდი „სამშობლო“ (ხელმძღვანელები და ლოტბარი გივი ბახტაძე). პირველი ხარისხის დიპლომები დაიმსახურეს აგრეთვე თელავის ბიჭუნათა ანსამბლმა „პატარა კანი“ (ხელმძღვანელი ლევან აბაშიძე) და ქ. თბილისის გოგონათა ანსამბლმა „მანდილი“ (ხელმძღვანელი მაია მიქაბერიძე). სამეჯლისო ცეკვების ანსამბლებს შორის მეორე ხარისხის დიპლომი მი-

ღმძღვანელი ციციო ბიჭიკაშვილი), მაყურებლის სიმპათიის პრიზი კინდივიდუალურ შემსრულებელს გიორგი თაქთაქიშვილს ერგო.



გალა-კონცერტში სტუმრის სტატუსით მონაწილეობდნენ შარშანდელი კვირეულის გამარჯვებულები, გრან-პრის მფლობელი ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჯორჯია“ (ხელმძღვა-

თორებით და სხვა ფასიანი საჩუქრები, ბითა და პრიზებით დააჯილდოვა.

კვირეულის დასკვნითი ღონისძიება—გალა-კონცერტი, რომელიც თბილისობის დღესასწაულს მიეძღვნა, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა და მასში ყველა გამარჯვებულმა მიიღო მონაწილეობა. ეს კონცერტი ქეშმარიტ ზეიმად, მონარდი თაობის ნიჭიერების, მისი შემოქმედებითი პოტენციალის, ხალხური ხელოვნების უკვდავების დემონსტრირებად იქცა და ეს ზეიმი ჩვენს ბავშვებს, საზოგადოებრიობას საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირმა აჩუქა.

დასასრულ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კვირეული მხოლოდ და



ეკუთვნა ანსამბლ „რიტმს“ (ხელმძღვანელი ვლადიმერ ხოროშილოვი).

გამოვლინდნენ კვირეულის გრან-პრის მფლობელებიც. ხალხური ცეკვების კოლექტივებიდან უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა ქორეოგრაფიულმა სტუდია „მეტეხი“ (ხელმძღვანელი გელოდი ფოცხიშვილი, ქორეოგრაფები დათო და გელა ფოცხიშვილები). ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლებს შორის უიურიმ გრან-პრი მიაკუთვნა ანსამბლ „კელაპტარს“ (ხელმძღვანელი ნუკრი კელაპტრიშვილი); თანამედროვე ცეკვების კატეგორიაში ასეთივე ჯილდო ერგო ანსამბლ „ფრისტაილს“ (ხელმძღვანელი ნანა კარიჭაშვილი). საერთოდ მთლიანად კვირეულის გრან-პრის მფლობელი გახდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იქორი“ (ხელმძღვანელი თეიმურაზ ხოზაშვილი).

ამ ჯილდოების გარდა, კვირეულის მონაწილეთათვის სხვა პრიზებიც იყო დაწესებული. უიურის სიმპათიის პრიზი დაიმსახურა გოგონათა კვარტეტმა „მუსიკის ჰანგები“ (ხე-



ნელი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გოგი ჩაჩავა), ქორეოგრაფიული ანსამბლი „ალგეთი“ (ხელმძღვანელები ნაზი წიკლაური და ირაკლი ცერცვაძე), ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „პატარა ვარსკვლავები“ (ხელმძღვანელი მალხაზ ავალიანი).

საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს კვირეულის ყველაზე პატარა მონაწილეებმა, ვირტუოზებმა ხარაგაულელმა მომღერალმა გიორგი მიქაძემ (I ადგილი საესტრადო უანრში), 5 წლის მშვენიერმა მომღერალმა თეონა ზარიძემ (კვირეულის ამ ნორჩ ლაურეატზე „ნაკადულის“ მომღვეწო ნომერში უფრო ვრცლად გაიმბობთ), სტუმრის სტატუსით მოწვეულმა გასული კვირეულის ლაურეატებმა, ნორჩმა დეკლამატორებმა დებმა თათია და სალომე ლორიებმა.

გარდა ამისა, კვირეულის ორიათასივე მონაწილემ მიიღო დიპლომი, გამარჯვებული კოლექტივები კი საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირმა მაგნიტოფონებით, პატარა ტელევიზორებით, მუსიკალური ცენტრებით,



მხოლოდ ამ კავშირის, მისი ხელმძღვანელის ქ-ნ სვეტლანა ჩოჩუას ძალიან სხმევით, ყოველგვარი სპონსორების მონაწილეობის გარეშე ჩატარდა და რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ როცა საქმე ეხება ჩვენი ხალხური კულტურის ტრადიციების შენარჩუნება-გაგრძელებას, მომავალი თაობისთვის გზის გაკვლევის, ნიჭიერი ბავშვებისა და კოლექტივების, მათი ხელმძღვანელების გამოვლენა-წარმოჩენას და სტიმულირებას, არავინ ჩანს ისეთი, ვინც მხარში ამოუდგება ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედების ამგვარი დავალიერების ორგანიზატორებს და ამით თავის წვლილს შეიტანს ქართული კულტურის აღორძინებაში.

ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედების მე-2 რესპუბლიკური კვირეულის გალა-კონცერტი კასპის შესანიშნავი გუნდის „მრავალჟამიერთ“ დაგვირგვინდა. გივი ბახტაძის მოსწავლეების მიერ შესრულებული ეს დიდებული სიმღერა ქართული ხელოვნების, უძველესი ქართული კულტურის, ჩვენი ერის უკვდავების ჰიმნად ქუხდა დარბაზში და იმის რწმენას უნერგავდა დიდსა და პატარას, რომ „მომავალი ჩვენია“.

2957



# კითხვა-თქვანი სად მდებარეობს განძთა კუნძული?

ახლანან წავიკითხე სტივენსონის წიგნი „განძთა კუნძული“. მაინტერესებს, მართლა არსებობს ეს კუნძული და სად მდებარეობს იგი, რომელ ოკეანეში თუ ზღვაში? თუ არსებობს ამ კუნძულის რუკა?

გივი ბზივზილი,  
მე-4 კლასი, ქ. თბილისი

ზოგს მიაჩნია, რომ „განძთა კუნძულის“ პროტოტიპია ჰალაბაგის კუნძულების სი-ახლოვეს მდებარე ქოქოსის კუნძული, სხვების აზრით, ეს არის კუნძული პინოსი კარიბის ზღვაში, მაგრამ ორივე ეს ვერსია მცდარია, იმიტომ, რომ, როგორც სტივენსონმა ეს კუნძული გამოიგონა. მართალია, მწერალმა ისე დაწვრილებით, ისე ზედმიწევნით ზუსტად აღწერა იგი, რომ მკითხველი იჭერებს და ფიქრობს, ალბათ განძთა კუნძული მართლა არსებობსო. რაც შეეხება კუნძულის რუკას, ისიც თვითონ სტივენსონმა დახატა წიგნის გამომცემლებისთვის.



## რა არის მუშკეტი?

ალექსანდრე დიუმას „სამ მუშკეტერს“ რომ ვკითხულობდი, რამდენჯერმე შემხვდა რაღაც იარაღის აღმნიშვნელი სიტყვა „მუშკეტი“. მაინტერესებს, რანაირი იარაღია მუშკეტი, როდის და ვინ იყენებდა მას?

თამურ სოსოვაშვილი,  
13 წლის

მუშკეტი ფითილიანი საკეტით აღჭურვილი ცეცხლსასროლი იარაღია. პირველად ის XVI საუკუნეში გამოჩნდა ესპანეთში. ამ იარაღისთვის დამანასიათებელი ძლიერი უკუცემის გამო მას მხოლოდ რჩეული, ფიზიკურად ძლიერი ადამიანები—მუშკეტერები ხმარობდნენ, იმავე მიზეზით მუშკეტიდან სროლისას მუშკეტერები მხარზე ტყავის პატარა ბალიშს იკეთებდნენ. XVII საუკუნეში მუშკეტები კაჟიანმა თოფებმა შეცვალა.

## პასუხი-ჩვენი





# საბადული გეოგრაფია

## ტანძია



ფანძია, სულხან-სამა თბილისის მმართველის სთელი, მდებარეობს ქვემო ქართლის დასავლეთ ნაწილში, ახლანდელ მთიანეთის რაიონში, მდინარე ხანის მარჯვენა მხარეს. სთელში მდებარეობს თბილისის დასავლეთის დასახლების ნანგრევები. ერთი ულუსია აუგია თვალსაჩინოდ ისტორიკოსსა და პოლიტიკურ მთვარეს პაპუნა თბილისის, სთელ მთარე-სულხან-სამას მამას, მდივანძე ვახტანგ თბილისის 1683. წელს. ფანძიაში აბის სულხან-სამა თბილისის სახლ-მუზეუმი.

ორბელიანების (იგივე ორბელი- შვილები, ყაფლანიშვილები, ჯამბაკურ-ორბელიანები), ფეოდალური საგვარეულოს ქაჩიბაძე-ბარათაშვილის ერთ-ერთი შტოს ფუძემდებელი ორბელ ბარათაშვილი ყოფილა, რომელიც 1536 წელს გაყრია თავის სახლიკაცს იოთამ ბარათაშვილს. გაყრისას ორბელს რგებია 59 სოფელი 617 კომლი გლეხითურთ, ლოქის მთის ნახევარი, ფიტარეთისა და დმანისის ეკლესიების ნახევარი. ორი საუკუნის შემდეგ ორბელის შთამომავლებს შორის საადგილმამულო შუღლის ნიადაგზე ატეხილ დავაში ყველასთვის ბარათა ორბელიანს უჯობებია, სახლიკაცები გაუწყვეტია და მათი მამულიც თავისი კუთვნილი ადგილ-მამულისთვის მიუერთებია. ამ შუღლის დროს გადარჩენილ ყაფლან ორბელიანს თავი ირანისთვის შეუფარებია. ბარათა ორბელიანი მარაბდის ბრძოლაში დაღუპულა და მის მამულებს ყაფლანი დაბატრონებია, რომელიც ამ ბრძოლაში თურმე შაჰ-აბასის მხარეზე იბრძოდა. ყაფლან ორბელიანს ძალიან მოუვლია თავისი მამულისთვის, გაუშენებია 61 სოფელი, განუახლებია ფიტარეთის მონასტერი, აუგია ხულოტის ციხე და სხვ. XVIII საუკუნეში საორბელო ანუ საყაფლანიშვილო მოიცავდა ქციისა და დმანისის ხეობის დიდ ნაწილს, ორბელიანთა კუთვნილ 160-მდე სოფელში 100-მდე მათი ვასალი აზნაური და 2000-მდე ყმა გლეხი ცხოვრობდნენ. სასახლეები და კარის ეკლესია ორბელიანებს ტანძიაში ჰქონიათ, ციხე-კოშკები—დმანისში, ქვეში და ხულოტში, მონასტრები ფიტარეთსა და დმანისში. XVIII საუკუნის მიწურულს ქართლის ჯიხრების გამო ორბელიანები იძულებულნი გახდნენ მამაპაპეული სამკვიდრო მიეტოვებინათ და თბილისში გადასახლებულიყვნენ. საორბელო დაცარიელდა...



ტყვის პაპად“ წოდებული სულხან-საბა ორბელიანი. ყრმობა მან სოფელ ტანძიაში გაატარა და მისი მასწავლებლები იყვნენ უწინარესად თავისი მამა, ვინმე მცხეთელი ზედგენიძე და გიორგი იაშვილი. იმაში, რომ ჰაბუკმა სულხანმა საუცხოო განათლება მიიღო, დიდი დეწლი მიუძღვის მის მამიდაშვილს გიორგი ბატონიშვილს, შემდგომში გიორგი XI წოდებულს.

სულხანი ადრევე გაეცნო ძველ ქართულ საერო ძეგლებს და თუმცა თავისი ლექსიკონის წინათქმაში შენიშნავს „მე ქართულისა ენისაგან კიდე, სხვა ენა არ ვიცოდო“, იგივე ლექსიკონით ირკვევა, რომ მას სცოდნია თურქული, სომხური, ნაკლებად—ლათინური, ბერძნული, იტალიური, ხოლო სიცოცხლის მიწურულს რუსულიც შეუსწავლია.

ერთი სიტყვით, „დიდი ორბელის შვილის ყაფლანის ძის, საქართველოს ბეჭედმთავრისა და მოსამართლეთუხუცესის ბატონის ორბელ ვახტანგის პირმო“ უკვე დიდად განათლებულ-განსწავლული შეუდგა სამშობლოს სამსახურს, რომელსაც შეაღია მთელი თავისი მშფოთვარე ცხოვრება. სამშობლოზე ფიქრითა და ზრუნვით იყო ნაკარნახევი მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი ქმედება. ქართლის ტკივილებით წყლულდამჩნეულმა შეადგინა „სიტყვის კონაც“, დაწერა „სიბრძნე სიცრუისა“. სულხან-საბა ევროპის გზასაც ქვეყანაზე, ირანში შაჰის მიერ დატყვევებული ქართლის მეფეზე, ვახტანგზე ფიქრით დააღდა.

მშობელი ხალხის მოჭირნახულეს არც ძალა დაუშურებია მისთვის როდესმე, არც დრო და არც ცოდნა. ბევრჯერ გაწილებულა, ბევრჯერ სტკენია გული სხვებისგანაც და თავისიანებისგანაც, ბევრჯერ გასცულებია იმედი, მაგრამ ბოლომდე უერთგულა სამშობლოსაც და თავის აღზრდილ მეფე ვახტანგ მეექვსესაც.

ტანძიაში დაბადებული დიდი ორბელიანები, დეწლიმოსილი შთამომავალი, 67 წლის სულხან-საბა ორბელიანი სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, მიხატა ორს, მოსკოვის მანლობლად, სოფელ ვსესვიატსკოეში დეწრულა 1725 წელს და იქვე დაკრძალეს...





# ვიქტორინა „ჭკუის კოლოფებისათვის“

1. ქართული კინემატოგრაფიის ფუძემდებლად ითვლება...



- ა) მიხეილ ჭიაურელი
- ბ) ვასილ ამაშუკელი
- გ) ნიკოლოზ შენგელაია

2. ოპერის „თქმულება უმთა რუსთაველზე“ ავტორია...



- ა) ზაქარია ფალიაშვილი
- ბ) მელიტონ ბალანჩივაძე
- გ) დიმიტრი არაყიშვილი

3. დიდი ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი და ლექსი-კობრაფი ვახუშტი იყო ... კე



- ა) ვახტანგ VI
- ბ) ბაგრატ III
- გ) ერეკლე II

4. საზარის მონასტერი მდებარეობს...




- ა) ახალციხის რაიონში
- ბ) თელავის რაიონში
- გ) მცხეთის რაიონში

5. ოპერა „ტოსკას“ ავტორია კომპოზიტორი...



- ა) ჯუზეპე ვერდი
- ბ) შარლ გუნო
- გ) ჯაკომო პუჩინი

6. რომელი ქალაქის სიმბოლოა ეიფელის კოშკი?



- ა) ლონდონის
- ბ) პარიზის
- გ) ვენის

წინა ვიქტორინის პასუხები:

1. გიორგი ოჩიაური; 2. დრამედერი; 3. პანჩო; 4. ა. გრიბოედოვა; 5. ფოთი; 6. ალ. ორბელიანი.





სთელი დარეზილის ნაწარმოებში კარგა ხანია იბეჭდება ქართული მხატვრობის ნაწარმოები, მანამდე კახეთის სალიტერატურო განყოფილებაში „ათინათის“ მიმართული სერიით გამოიცა სთელის წიგნი „მილივი“, მისი ზღაპრებით იხსენიება მანამდე გაკრძალული მხატვარი ინგლისურ ენაზე გამოცემული ზღაპრების წიგნი „ზღაპრების სამყაროში“, ასევე კი უკლებლივ-საგანმანათლებლო ასტრია „სადაც სანაპირო“ გამოცემულმა „ქალის წიგნი“ ნაწარმოების „მხატვრული ხანადა“ დასრულდა.

სთელი დარეზილი თელავის I საშუალო სკოლის მხატვრობის მასწავლებელია. 2002 წელს მან გაიმარჯვა გაკრძალული ხანის ქალის თემისა და მხატვრობის განვითარების ცენტრის ლიტერატურულ კონკურსში „მე რამ მშვიდობის უღი ვიცი“. წელს იგი საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი გახდა.

# ტიციან ტაბიძის მედალიონი

ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმის კარი ახალგაზრდა ქალმა გაგვიღო, სასტუმრო ოთახში შეგვიძღვა და ქალბატონ ნიტას დასაძახებლად წავიდა.

სურათებითა და ნივთებით სავსე მაღალჭერიან ოთახში მრგვალი მაგიდა იდგა, რომელსაც მიხაკებიანი ვაზა ამშვენებდა. შავ როიალთან მდგარ პატარა მაგიდაზე კი შთაბეჭდილებების დიდი წიგნი იდო.

ტიციან ტაბიძის ქალიშვილი ოთახში შემოვიდა და როგორც ახლო ნათესავებს, ისე გაგვიღიმა. ქალბატონი ნიტა პატარა ტანის ქალი იყო, სათნო ღიმილით. დედა გაეცნო და თავისი საქმიანობის შესახებ მოუთხრო. მან ნათქვამი ყურადღებით მოისმინა და „მშვიდობის წიგნი“ დედას მისალმება ჩაუწერა. იგი ძალიან წვრილად და ლამაზად წერდა. ჩემდაუნებურად მაგიდას იდაყვებით დავაწევი. მაგიდა საკეცი ყოფილა, შუა ფიცარი ამოხტა და მიხაკებიანი ვაზა წაიქცა. გული გადამიქანდა, მაგრამ საბედნიეროდ, ვაზა არ გატეხილა. დედამ მისაყვედურა, ქალბატონმა ნიტამ კი თავზე ხელი გადამისვა და არაფერიო—მითხრა. მერე დედას ხელკავი გამოსდო და ოთახები შემოგვატარა. სიარული უჭი-

რდა. იგი გვაცნობდა მამამისის—ტიციანის ნივთებს, სურათებს, ალბომებს.

პოეტის ქალიშვილს თვალეში სევდა ჩაუდგა და ის ამბავი გაიხსენა, უფულო ტიციანმა მეუღლე მიხაკით რომ დანიშნა.

ქალბატონმა ნიტამ თქვა, სანამ ცოცხალია, მუზეუმი მნახველებს უფასოდ მოემსახურება და მისთვის ყველაზე ძვირფასი ის სიყვარულია, რაც ტიციანმა ხალხის გულში დატოვა.

დედამ პოეტის ქალიშვილს მადლობა გადაუხადა და შთაბეჭდილებების წიგნი რამოდენიმე წინადადება ჩაწერა. ქალბატონმა ნიტამ მითხრა, შენი სახელი და გვარიც ჩაწერეო. შემრცხვა და ვიუარე, მან კი დაჟინებით მთხოვა და მეც ჩავწერე. გამომშვიდობებისას ქალბატონმა ნიტამ ტიციან ტაბიძის 90 წლისთავის აღსანიშნავად გამომშვებული მედალიონი მაჩუქა.

მიხაკის ყვავილით მკერდდამშვენებული ტიციან ტაბიძის მედალიონი ახლა ჩემს წიგნების კარადაში ინახება და ნიტა ტაბიძეს მახსენებს, რომელიც პოეტმა თავზე უდიდესი სიყვარულით ლაპარაკობდა.









ქუჩები აქვს, როცა კლავის დააჭერ, ჩაქუჩი სიმს ურტყამს და გამოდის მუსიკა.

—ჩაძვერი შიგ, სტიუარტ და როცა ეს საზიზღარი კლავისში გაიჭედება, ჩაქუჩს მიაწეკი.

და ჯორჯმა სტიუარტი, პიანინოში ჩასვა. სტიუარტი ვერც კი წარმოიდგენდა, თუ შეიძლებოდა პიანინოს შიგნით ასეთი გრუნუნის ყოფილიყო. საბრალო, რამდენიმე წუთში სულ დაყრუვდა. თანაც ეშინოდა, ჩაქუჩი თავში არ მომხვდესო. მაგრამ მაინც არ დაუჩივლია, იმიტომ რომ მუსიკა უყვარდა.



დედა და მამა ხშირად ლაპარაკობდნენ სტიუარტზე. აფიქრებდათ, რომ მეტისმეტად პატარა იყო და წრუწუნას ჰგავდა. „არ არის საჭირო, გაიგოს რომ თავგია“—გადაწყვიტეს მშობლებმა.

—მოდი, ნურასოდეს წარმოვთქვამთ სიტყვა „თავგს“,—შესთავაზა მისტერ ლითლმა ცოლს.—სიმღერების კრებულიდან ამოგვჩვენე იმ ფურცელს, რომელზეც „სამი საბრალო წრუწუნა“ დაბეჭდილია.

—ეგ რომელი სიმღერაა?—ჰკითხა მისის ლითლმა.  
—ნუთუ არ იცი?—და მისტერ ლითლმა ჩურჩულით უმღერა:

ნახე, როგორ გარბის სამი საბრალო წრუწუნა!  
მაგრამ ბოროტი მზარეული სწორედ იქ წამოეწია.  
ბასრი დანა კუდებზე გადაუსვა და—  
საბრალო წრუწუნები უკუდოდ დარჩნენ.  
რა უბედურებაა! რა საშინელებაა!  
სამი საბრალო წრუწუნა—და სამივე უკუდო.

სტიუარტმა ეს სიმღერა არ უნდა იცოდეს, თორემ შეეშინდება, ვინმემ კუდის მოჭრა არ დამიპიროსო. შეიძლება ცუდი სიზმარი დაესიზმროს.

—სწორია,— დაეთანხმა მისის ლითლი,—ამ წრუწუნების ერთი სახალწლო ლექსიცაა, აი ნახე: „ახალწლის ღამეს სახლში ყველას სძინავს. არც ჭრიჭინის ხმა ისმის და არც წრუწუნების“.

—არა, ასე არ ივარგებს!—თქვა მისტერ ლითლმა—სახალწლოდ ამ ლექსში რომ წავიკითხავთ, სიტყვა „წრუწუნები“ აუცილებლად უნდა შევცვალოთ, მაგრამ უბრალოდ ასეც ვერ დავტოვებთ: „ახალწლის ღამეს სახლში ყველას სძინავს და არ ისმის ჭრიჭინის ხმა“. ეს უკვე ლექსი აღარ არის. რითმა დაირღვა.

—მოდი, ასე ვთქვათ, „ჭრიჭინას და პატარა რწყილების ხმა“—შესთავაზა ქმარს მისის ლითლმა.

მან წიგნი გადაშალა, საშლელით სიტყვა „წრუწუნები“ წაშალა და მის ნაცვლად ძალიან კოხტად ჩაწერა—„პატარა რწყილებს“.

ამიტომაც სტიუარტს ყოველთვის ეგონა, რომ ახალ წელს ნაძვის ხესთან ასე უნდა წაიკითხო: ახალწლის ღამეს სახლში ყველას სძინავს, არც ჭრიჭინას ხმას ისმის და არც პატარა რწყილების.

მაგრამ დედას და მამას მარტო ლექსები როდი აწუხებდათ: საქმე ის გახლავთ, რომ სამზარეულოში თავის სოროა. არავინ იცოდა, სად გადიოდა ეს სორო. ერთიც ვნახოთ და სტიუარტი ადგეს და იმ სოროში შეძვრეს, მერე?

—სულ წრუწუნასავით არის, წრუწუნებს კი სოროებში შეძვრომა უყვართ,— თქვა მისტერ ლითლმა. შეფიქრებულმა მისის ლითლმა ქმარს თავი დაუქნია.

ერთხელ სტიუარტმა პარკში გასეირნება გადაწყვიტა. მეზღვაურის ციციქნა ლურჯი კოსტიუმი ჩაიცვა, მეზღვაურისვე ლურჯი ქუდი დაიხურა, ჭოგრიტი აიღო და ქუჩაში გავიდა. შინიდან როცა გადიოდა, სტიუარტს ჭოგრიტი ყოველთვის თან მიჰქონდა ხოლმე. ქუჩის ძაღლების ეშინოდა და როცა ჭოგრიტით ძაღლს დაინახავდა, პოლიციელთან გარბოდა, ფეხზე ააცოცდებოდა და ქურთუკის ჯიბეში იმალებოდა. ერთხელ, როცა ახლომახლო პოლიციელი არ აღმოჩნდა, სტიუარტი ტროტუარზე დაგდებული გაზეთის ქვეშ შეძვრა და ვიდრე საფრთხემ არ გაიარა, იქ იჯდა.

ქუჩის კუთხეში რამდენიმე ადამიანი ავტობუსს ელოდა. ციციქნა სტიუარტი ვერავინ შეამჩნია.

„საიმისოდ ძალიან პატარა ვარ, რომ შეამჩნიონ, სამაგიეროდ იმისათვის, რათა ავტობუსით გავისეირნო, საკმაოდ დიდი ვარ“. აი ავტობუსიც გამოჩნდა. ხალხი მისკენ დაიძრა, ვინ ჩანთის ქნევით, ვინ ხელჯოხით, სტიუარტმა კი ჭოგრიტი გაიქნია. ავტობუსი გაჩერდა. სტიუარტი ერთი მამაკაცის ფეხსაცმელს ჩაებღაუჭა და მშვიდობიანად შეაღწია ავტობუსში. სხვანაირად მაღალ საფეხურზე ვერ აბობლდებოდა.

—ბილეთის ფული გადაიხადეთ!—მიმართა კონდუქტორმა.

—ინებეთ,—სტიუარტმა კონდუქტორს პაწია მონეტა გაუწოდა.

—ეს რა არის?— გაუკვირდა კონდუქტორს.

### გასეირნება

ასეთი მონეტები არასდროს ენახა. როგორც წესი, მონეტები ძალიან დიდი და მძიმე იყო ხოლმე და სტიუარტს კოსტიუმის ჯიბეში ვერ ეტეოდა. სტიუარტს თითოეული მონეტის გაგორება მოუხდებოდა ბორბალივით. ადრე სტიუარტი უბრალოდ მგზავრობდა ავტობუსით. მაგრამ რომ გაიზარდა, მიხვდა, რომ ასე მოქცევა ცუდია და მამას სთხოვა, იქნებ რაიმე მოიფიქროს. მისტერ ლითლმა ფოლგისგან, რომელშიც შოკოლადია ხოლმე განვეული, პატარ-პატარა მონეტები დაუჭრა. ისეთი პაწაწკინტელები იყო, რომ უსათვალოდ ვერ დაინახავდი. სწორედ ერთი ასეთი მონეტა გაუწოდა სტიუარტმა კონდუქტორს.

—ეს რა არის?— გაუმეორა კონდუქტორმა.

—მგზავრობის ფული.

—რას ბრძანებ! ნეტავ ავტობუსის მებატრონეს როგორ უნდა ავეუნსა?! კარგი, კარგი, შენ თვითონაც ხომ ამ მონეტაზე სულ ოდნავ თუ ხარ მოზრდილი.

—არაფერიც, უფრო დიდი ვარ!— აღშფოთდა სტიუარტი.—მომეცი, გეთაყვა, ბილეთი და ძალიან გთხოვთ, შეურაცხყოფას ნუ მაყენებთ. ავტობუსში ამისთვის არ ჩავმჭდარვარ.

—მომიტევთ,— კონდუქტორმა ბილეთი მიუწოდა.—არ ვიცოდა, თუ ქვეყნად ასეთი პატარა მეზღვაურები არსებობდნენ.

—მოხარული ვარ, რომ ამერიიდან გეცოდინებთ, სხვანაირად მოუჭრა სტიუარტმა და ბილეთი ჯიბეში ჩაა-





# რატომ ვამბობთ ასე?



გლვლივით და მისი ცოლივით გავჩინო—მეტის ჭამა არ შემიძლია, ბევრი ვჭამე. ძველად მღვდლების ოჯახი განთქმული იყო შეძლებით, განსაკუთრებით საჭმლის მხრივ სავსება სუფევდა მათ ოჯახებში. მღვდელი და მისი ცოლი, სხვებთან შედარებით, პირთამდე სავსენი იყვნენ საჭმელ-სასმელით და სუფრიდან იშვიათად თუ ადგებოდნენ ყელთამდე გამაძღრები. ასე იქცა მათი მაძღრობა და ჭამის სიყვარული მაძღრობის სინონიმად.

მუსრან-ბაბონი—დიდი, გავლენიანი კაცი, დიდი მამულების და ყმების პატრონი. მუსრან-ბატონები მეფისწულები, ბაგრატიონთა გვარისანი იყვნენ. ისინი ქართლში პირველ მებატონეებად ითვლებოდნენ. მათი იყო ქართლში მთელი ქსნის ხეობა, მუსრანი და მის გარშემო მდებარე სოფლები.

მუსრან-ბატონი ბაგრატიონებისა და დიდი მატერიალური ქონების და მძლავრობის სინონიმი იყო.

ორმპრიანი—ხალხის არეულობა ჩოჩქოლი, აურზაური. ორომი ვარცლის დასაფარებელი, ტაბაკის ფორმის, სამი თუ ოთხი გოჯის სიმაღლის ფეხებიანი ფიცარია. ვარცლიდან ცომის გუნდებს რომ იღებენ თონეში ჩასაკრავად, ჭერ ორომზე აწყობენ იმდენს, რამდენიც ერთი განურებულ თონეში ჩაეტევა და მერე ზედვე გაბრტყელების შემდეგ იქიდან იღებენ თონეში ჩასაკრავად. სოფლად როცა ქორწილი თუ ქელეხი იყო და ბევრი პური უნდა გამომცხვარიყო, ამ პურს რამდენიმე თონეში აცხობდნენ და ცხადია, ორომსაც ერთს კი არა, რამდენიმეს ატრიალებდნენ, ხშირ-ხშირად აქეთ-იქით მიჰქონდათ ხოლმე ანუ ოჯახში ორომტრიალი იყო. ორომის ხშირი ტრიალი, ორომტრიალი დაერქვა ჩოჩქოლს, აურზაურს.

სახრის სამოსწულად მოსულა—საცრის სათხოვნელად მოვიდა, ხატოვნად იტყვიან იმაზე, ვინც სადმე მივა და საქმეც რომ ჰქონდეს, მაინც იძახის, მეჩქარება, არა მცალია, უნდა წავიდეო.

საცრის სათხოვნელად მისვლა გულისხმობს, რომ სათხოვნელად მისულს ეჩქარება, რადგანაც შინ გასაცრელი ფქვილი, მოსაზელი ცომი, გამოსაცხობი პური ელოდება.

სიღურის კუპარეხისა...—საჭმლისთვის მისწრების ბედი გქონია. ამას ჭამის დროს შემოსწრებულ კაცს ეტყვიან, როცა სიდედრს სიძე უყვარს, მისი გულის მოგებას ცდილობს, არაფერს იშურებს მისთვის, ჭამა-სმას და პატივისცემას არ აკლებს, ერთთავად თავს ევლება. როცა სიძეს ელოდება სტუმრად, სუფრას ყოველთვის გაშლილს ახვედრებს.

## სიტყვის კონა

**თაქა**—მოთელილი მატყლის საფანი ძეგა.

**თაოქალთო**—ცხენის ზურგზე უნაბირის ძვეუ დასაგებუი ტყავგადაპრული თაქა.

**ჭოროსი**—ადიდებული მდინარის ან ნიღვრების მოტანილი ნარიყი.

**ხალუყარი**—უძნარა, არაფრისგამკეთებელი

**ნელანგარა**—ზარმაცი, ნელმონხვებითი ადამიანი.

**შეკეხილი**—მწვანე-ნითლად შემღვრული, ახლად შემწვანებული პამიდორის ფარი.

**რყოინი**—კამიჩის ხმიანობა.

**მითალი**—ლეივის, საგნის და მისთანების შიგნითა პირი, რომელშიც ბუმბული, მატყლი ან გამგაა მოთავსებული.

**საღაგი**—სამუშაო, არაუძმე დღე.

**ხეარა**—გრიყვი, გაუზრდელი, უხავი.

**სიჩატალი**—ველური ხილი.

**სორტი**—მთის ნაოჭებში ჩარჩენილი თოვლი

**ჯორჯი**—მსხვილი, ტლანძი, უხავი.



# ხაყიყუნჭაყლას მუხრლი



## ვინს არ მუხაროს, ის არ ჭამს

ახივლა, უკვე ახივლა

მუხრან მატაკარიანი

### სმრბიული ზღაპარი

მეფე მათიას ძალიან ლამაზი, მაგრამ ზარმაცი ასული ჰყავდა: არაფრის გაკეთება არ იცოდა, მთელი დღე სარკის წინ იჯდა და საკუთარი გამოსახულებით ტკებოდა.

როცა ასულის გათხოვების დრო მოვიდა, მეფემ გამოაცხადა: იმას მივათხოვებ ჩემს ქალიშვილს, ვინც სამ წელიწადში შრომას ასწავლისო.



დრო გადიოდა, მეფის ასულის სათხოვნელად კი არავინ მოდიოდა. ადგა მეფე და მთელ სამეფოში ვეზირები დააგზავნა, იქნებ ჩემი შვილის საქმრო მოიძებნოსო. ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთი ჭაბუკი დაინახეს—გუთანში რვა ხარი შეება და მიწას ხნავდა. ვეზირებს მოეწონათ ჭაბუკი და მეფეს აახლეს. მეფემ ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ჭაბუკი შეჰპირდა მეფეს, სამ წელიწადში შენს ქალიშვილს შრომას ვასწავლიო.

წამოიყვანა მეფის ასული და წამოვიდა. გამოეგება ჭაბუკის დედა სარძლოს, შეხედა და გაცოცხდა, ეს რა ლამაზი ყოფილაო.


გათენდა მეორე დღე, შეაბა ჭაბუკმა ხარები გუთანში და მინდორში წავიდა სამუშაოდ, დედას კი დაუბარა, პატარძალს საქმის გაკეთება არ დააძალოო. დაბრუნდა საღამოს ჭაბუკი შინ, დედამ ვახშამი გაუშალა, შვილმა ჰკითხა:

- დედი, დღეს ვინ იმუშავა?
- მე და შენ, შვილო—უბასუხა დედამ.
- მაშ საჭმელიც იმან უნდა ჭამოს, ვინც იმუშავა.
- არ მოეწონა მეფის ასულს ეს ამბავი, გაიბუტა და მშვიერი დაწვა დასაძინებლად. მეორე დღესაც იგივე განმეორდა.
- მესამე დღეს კი მეფის ასულმა დედამთილს უთხრა:
  - დედა, რამე სამუშაო მომეცი, უსაქმოდ რომ არ ვიჯდე.
  - ადგა და დედამთილმა შეშა დააპობინა.
  - მოსაღამოვდა. სავახშმოდ რომ დასხდნენ, შვილმა ისევ ჰკითხა:
    - დედი, დღეს ვინ იმუშავა?
    - ჩვენ სამმა, შვილო: მე, შენ და მეფის ასულმა.
    - მაშ საჭმელიც იმან უნდა ჭამოს, ვინც იმუშავა.
    - სამივემ ივანშმა. ასე ნელ-ნელა ისწავლა მეფის ასულმა მუშაობა.
    - გავიდა სამი წელი და მეფემ ქალიშვილს სანახავად ჩააკითხა. ხედავს—მისი ასული დედამთილთან ერთად ტრიალებს, საქმეს აკეთებს. გაიხარა მეფემ და უთხრა:
      - შენც გისწავლია, შვილო მუშაობა?
      - აბა, რა—უბასუხა მეფის ასულმა,—ჩვენს ოჯახში ასეთი წესია: ვინც იმუშავა, იმას ჭამაც შეუძლია. ასე რომ, მამა, თუ გინდა რომ ივანშმო, წადი და შეშა დააპებ.
      - მეფემ თავის ქალიშვილსა და სიძეს უამრავი საჩუქარი ჩამოუტანა, რამდენიმე დღე დარჩა მათთან, მერე კი სამივე თავისთან წაიყვანა საცხოვრებლად, სასახლეში. სიძე ღვიძლი შვილივით შეიტკბო და შეჰპირდა, მეფობას ჩემს სიცოცხლეშივე გადმოგილოცავო.

აცივდა, უკვე აცივდა,—  
და უკვე ჩვენთვის არ სცხელა  
არც მერცხალს—კულმაკრატელას,  
არც ოფოვს,—თავსავარცხელას.

მზე ღრუბლის მონა გამხდარა;  
ანათებს, ვეღარც ანათებს...  
საცაა მოვა ზამთარი,—  
მოვა და მოიკალათებს.

### რკეპსი





# იცოცხლეს რას ნიშნავს შენი სახელი?

## ვაჟის სახელები

**ავთანდილ** (არაბულ-ირანული) „სამშობლოს გული“ ან „სამშობლოს რწმენა“

**აკაკი** (ბერძნული) „უწყინარი“. კაკო ბერძნულად ნიშნავს „ცუდს“, „მაწყინარს“.

**ალექსანდრა** (ბერძ.) „მხნე“, „მამაცი“, „ხალხის მცველი“.

**არჩილ** (ირან.) „არიელი“, „არიული მოდგმისა“.

**ბადრი** (არაბ.) „სავსე მთვარე“.

**ბაკურ** (ირან.) „ღვთის შვილი“.

**ბახვა** ქართული სახელია, მეგრულად ნიშნავს „ბუთხუზს“, „ჩასკვნილს“.

**ბეჟან** (სპარს.) „მამაცი“.

**ბერდია** ქართული სახელია და უკავშირდება ძირს „ბერ“ („დაბერდი“).

**ბიძინა** ქართული სახელია: „ბიძისა“.

**ბელა** ქართული სახელია: „მგელა“.

**ბია, ბიბა, ბიბი, ბიბო, ბიბლა** ქართული სახელებია, მიჩნეულია გიორგის ან გრიგოლის შემოკლებულ ფორმებად.

**ბიორბი** (ბერძ.) „მხვწელ-მთესველი“, „მიწისმოქმედი“.

**ბოდარძი** (ირან.) „ძლიერი ხარი“.

**ბოჩა** ქართული სახელია: „ბერიკაცი“.

**დავით** (ებრ.) „საყვარელი“.

**დამბრა** (ბერძ.) „მიწის მუშა“

**დამნა** ძველი ქართული სახელია, წარმოშობით დემეტრეს მოფერებით ფორმა.

**ელგუჯა** (თურქ.) „ხალხის ძალა“.

**ელდარ** (ებრ.) „ღვთის ნაჩუქარი“.

## ქალის სახელები

**ანა** (ბერძ.) „მადლი“.

**ანასტასია** (ბერძ.) „მკვდრებით აღდგომა“.

**ასპათი** (არაბ.) „უმწიკვლო“.

**ბაიანა** (ლათ.) „მწვანე“.

**ბჰანსა** ქართული სახელია.

**ბულნარა** (სპარ.) „ბროწეულის ყვავილი“.

**დალი** ქართული სახელია, შერქმეულია ნადირობის ქალღმერთის სახელის მიხედვით.

**დადისიჰადი** ქართული სახელია.

**დოდო** ქართული სახელია.

**ეთარ** (ებრ.) „ვარსკვლავი“.

**ეკატერინა** (ლათ.) „წმინდა“. შემოკლებითი ფორმაა „ეკა“.

**ელენე** (ბერძ.) „მანათობელი“, „რჩეული“. მოფერებითი ფორმებია ელო, ელიკო.

**ელისო** ქართული სახელია.

**ენკელა** ქართული სახელია

**თამარ** საეკლესიო კალენდარში ახსნილია როგორც „ბალმა“ (ძველი ებრ.), მაგრამ იგი ხურიტული წარმოშობისაა და ამჟამად ქართულ სახელად არის მიჩნეული.

**თამთა** ძველი ქართული სახელია.

**თაკლა** (ბერძ.) „ღვთის დიდება“.

**თაო** (ბერძ.) „ღმერთი“

**თინათინ** ქართული სახელია და „მზის სხივის ანარეკლს“, „მოციმციმე სხივს“ ნიშნავს.

**ია** (ბერძ.) „ია“.



# ჩა უნდა ვიპოვოთ პიპიუნის შესახებ

## კრეატივი პოპონაჲს და პიპუნს

მაგნე ნივთიერებებს, ეს ნივთიერებანი კუნთების აქტიური მუშაობის შედეგად წარმოიშობა.

ჩვენი კანი, როგორც ორგანიზმის სხვა უჯრედები, განუწყვეტილად ახლდება. ეს ხდება ზედა ფენის გამუდმებული კვდომით და გამრავლებით. მკვდარი კანის ქერცლი ოფლთან, ცხიმთან, კანზე მოხვედრილ მტვერთან ერთად ჰქმნის ჭუჭყს, რომელიც ხუფავს ფორებს, ხელს უშლის ოფლის გამოყოფას და არღვევს ნივთიერებათა ცვლას. ამიტომ, ჭამის შემდეგ, ქუჩიდან ან ეზოდან შინ მიბრუნებისას აუცილებლად კარგად უნდა დაიბანო ხელები. განსაკუთრებით მიაქციე ყურადღება ფრჩხილებში ჩამჭდარ ჭუჭყს—იგი მიკრობების ნამდვილი ბუდეა.

თუ ჰიგიენის ამ ანბანს არ დაიცავ, მიკრობი შეიძლება პირის ღრუში მოხვდეს; ამას კი ბევრნაირი ავადმყოფობა მოჰყვება.



ადამიანის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს კბილები და პირის ღრუ, სადაც საკვების პირველადი გადამუშავება ხდება. კარგად გადამუშავებული საკვები ძალზე უადვილებს კუჭ-ნაწლავს მუშაობას.

ჯანმრთელი კბილების შენარჩუნება მხოლოდ მუდმივი ზრუნვით შეიძლება. კბილები დილა-საღამოს თუ არა, დღეში ერთხელ მაინც უნდა გამოიწმინდო საგანგებო პასტიით ან ფხვნილით.

ადამიანი, საერთოდ, კარგად ეგუება გარემოს. გაინსენე, იგი ცხოვრობს ჩრდილოეთში, სადაც ყინვა 40 გრადუსზე მეტია, და ცხოვრობს უდაბნოშიც, სადაც 40 გრადუსი სიცხეა. ადამიანი იბყრობს ოკეანეს, კოსმოსს. მაგრამ ვინც მთელი ცხოვრება თბილი

ან ცივი ოთახის კედლებზე, გაატარა, ძნელად ეგუება კლიმატური პირობების ცვლებადობას. გარე პირობების მკვეთრი შეცვლისას, ცხადია, ორგანიზმი იბრძვის ახალ გარემოსთან შესაგუებლად, მაგრამ ამას ყველა ორგანიზმი ვერ ახერხებს. სუსტ ადამიანს შეიძლება არ ეყოს შინაგანი რეზერვები და უცებ ავად გახდეს. ასეთ პირობებს გაცილებით კარგად იტანს შეჩვეული, ე.ი. ორგანიზმგამოწრთობილი ადამიანი.

შენ, ალბათ, გაინტერესებს როგორ აღწევენ ამას, როგორ აწრთობენ ორგანიზმს. მართლაცადა, ვის არ უნდა, გამოწრთობილი იყოს! აბა, რა გუნებაზე დადგები, როცა შენი ამხანაგები წყალში ჭყუმბალაობენ, შენ კი, გაგანია ზაფხულში გაციებული, მათთან ერთად ვერ ბანაობ. აი ამიტომ გვინდა დაიმახსოვრო რამდენიმე რჩევა.

ორგანიზმის გამოწრთობა—ესაა გარემოს არახელსაყრელ გავლენებთან ორგანიზმის თანდათან შეგუება. იგი ანვითარებს ორგანიზმის თავდაცვით რეაქცია სიცხისა და სიცივისადმი, ამაგრებს ნერვულ სისტემას, აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას. ორგანიზმი კარგად ებრძვის გრიბს, ანჯინას, სურდოს, ბრონქიტს. ორგანიზმის გამოსაწრთობად დიდი ნებისყოფა და შეუპოვრობაა საჭირო.

ორგანიზმის გამოწრთობა წლის ყველა დროს შეიძლება დაიწყოთ. ჭერ ჰაერის აბაზანა უნდა მიიღო. ზაფხულობით ტემპერატურა 18-20 გრადუსი უნდა იყოს, ხანგრძლივობა—15-18 წუთი. შემდეგ თანდათანობით უნდა გაზარდო დრო.

წრთობის ყველაზე დიდებული საშუალება წყალია. როცა წყლის აბაზანების მიღებას დაიწყებ, ჰაერის ტემპერატურა 18-20 გრადუსი უნდა იყოს, წყლისა კი—30-43 გრადუსი. წრთობის პირველ ეტაპზე სველი პირსახოცით ჯობია ტანის დაზელა, შემდეგ კი მშრალი პირსახოცით უნდა შეიმშრალო. თუ პირველმა ცდებმა კარგად ჩაიარა, წყლის ტემპერატურა შეგიძლია თანდათან თითო გრადუსით დასწიო (5-7 დღეში ერთხელ). წყლის აბაზანების ხანგრძლივობა 30-დან 60 წუთამდეა ხოლმე.

ასე რომ, თუ გინდა იყო გამოწრთობილი, ჯანმრთელი, კუნთოვანი და ხალისიანი, ორგანიზმის გამოწრთობა და სხვა, ჩამოთვლილ ჰიგიენური ჩვევების შესრულება უნდა გაიხადო, თორემ ჯანმრთელი ვერ იქნები.

ვინც იშვიათად ბანაობს, ვისაც ეზარება ხელ-პირის დაბანა, ეშინია ოთახის განიავეებისა, გრილ თუ ცხელ ამინდში გარეთ გასვლისა, ვინც არ იკაუთებს სხეულს, იგი მიკრობების გამრავლების ნამდვილ ბუდედ აქცევს ორგანიზმს და ხშირად ხდება ავად.

სხეულის ერთ-ერთი მთავარი ორგანო კანია, იგი იცავს მას გარემოს არასასურველი გავლენისაგან, ათასგვარი მიკრობებისა და ქიმიური ნივთიერებათაგან.

თითს რომ გაიჭრით, იმწამსვე იოდს დავისხამთ ხოლმე ჭრილობაზე. თუ ეს დროულად არ გავაკეთეთ, ჭრილობაში შეიძლება მიკრობები შეიჭრნენ, გამოიწვიონ ანთებითი პროცესი, დაჩირქება და სისხლის მოწამვლაც კი.

ქიმიური ნივთიერებები სხეულის ცოცხალ უჯრედებს შლიან და ტკივილს იწვევენ. ადამიანს რომ კანი არ ჰქონდეს, იგი დედამიწაზე ვერ იცხოვრებდა, რადგან ქიმიური ნივთიერებები გვანგვევია გარს. მარილი რომ მარილია, იმასაც კი ვერ შევახებდით ხელს.

ამის გარდა, კანი სხეულის ტემპერატურას უწევს რეგულირებას. ეს შემდეგნაირად ხდება: ცხელ ამინდში სისხლძარღვებში სისხლის მიმოქცევა მატულობს, ამასთან ერთად იხსნება კანის ფორები და ძლიერდება ოფლის გამოყოფა, ანუ ორთქლდება სითხე. რაც უფრო დიდია ორთქლდება, მით უფრო ცივდება სხეულის ზედაპირი.

ოფლის ჭირკვლები აგრეთვე გამოყოფენ ორგანიზმისთვის ზედმეტ





# დეტექტიური თავსატეხი ანუ ლოგიკური აზროვნების შემოწმება



## შესწავლა სიღმინე

მთყვარული ღრუფიანი ლუი თბანგული სამაჟმუთ ქუ-  
ბნალ „პითის“ უბნ-უბნით გმინია. საკუთარ დაკუთრულ-  
ლმძას, ალღმსა და საზრთინმძას ლუი მარტთ დანამაჟუ-  
მათა მიუმიასსა ჰი აბ იცუნქმს, აბამედ სსუადასსუა ყბთით  
სიფუაყბამიღ.

მიშყუვით ლუის აზრთა მსუღუღმძას და სცადეთ საზრ-  
ბნმამი გაკუბმბრთ მას.



მშვენიერი ამინდია,  
სიამოვნებით ვიბანავებ

ლუიერთ-ერთსოვალში ბამოვიბას აწარმოვბდა.  
იქიღან რომ ბრუნდებოდა, ბანაოება ბაღაფყვიბთა



მე ცურვა არ ვიცი.

მიშველეთ! მიშველეთ!

მაგრამ ბაიგონა, რომ ვიღაცა შველას  
ითსოვდა. ვიღაც ბამვლელი, რომელმაც ცურვა  
არ იცოდა დაბნული ბარბი-ბამოვბოდა.



ახლავე მოვდივარ!

ლუიმ სასწრაფოდ ბაიხადა ქურთუბი და  
მღინარეში ბაღაეშვა.



რას ბრძანებთ, შაინც  
ბანაობას ვაბირებდი.

თქვენ  
გადამარინეთ,  
გმაღლობთ!

ფყალში შემთხვევით ბაღაკარღნიღი ქალი  
ბაღლობას უხდიდა ლუის.



მე კი ამასობაში თქვენს  
ნივთებს ვდარაჯობდი

ძალიან კარგი, მაგრამ  
ჩემს პორთფელში  
რატომღა ჩაბვერით?

ტანზე რომ იცვამდა, დეტექტივი მიხვდა, რომ  
სიღზე მარტო ღარჩენიღმა უსაქმურმა მის  
ჩანთაში ჩახაღვა მოასწრო. როგორ მივიღა ლუი  
ასეთ ღასკვნამდე?



# საინფორმაციო თემაზე

ნადავლი  
გაგვიჩვენებს



ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ნავის ტიპი—პირაგუაა. იგი ძირითადად აფრიკის ხალხებში, ინდონეზიაში

## ტალღებზე მონავარდე

არავინ უწყის დანამდვილებით, სად და როდის გამოიგონეს ნავი. სხვადასხვა ქვეყანაში, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, არსებული სამშენებლო მასალითა და შრომის იარაღებით, ხალხმა შექმნა ნავის მრავალგვარი სახეობა: ერთნი იოლად უძლებდნენ შორეულ საზღვაო მოგზაურობას, მეორენი მსუბუქად დაჰქროდნენ ქალაქის ქუჩა-არხებში, მესამენი ლაღად დანავარდობდნენ მდინარეთა ჩანჩქერებზე, მეოთხენი ძალზე დიდ ტვირთს ეზიდებოდნენ...

და ოკეანეთის კუნძულზე არის გავრცელებული. პირაგუა გამო-



მწვარი ან გამოღრუტული მორიაა. მაგრამ არ იფიქროთ, იგი იოლი გასაკეთებელი იყოს, ჯერ გულდადებით უნდა შეირჩეულიყო ხე, მერე ორი-სამი წლის მანძილზე უნდა გამოეშროთ და ბოლოს, ათობით ხელოსანი თვეების მანძილზე უნდებოდა ხოლმე მის სანაოსნოდ გამართვას.

ვარკამოეს— ცეილონელთა ნავის აგება გაცილებით იოლია, ვიდრე პირაგუასი. მას მხოლოდ ფსკერი აქვს მთლიანი ხისა, გვერდები კი ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრული მომსხო ჩხირებითაა ამოყვანილი.

სამხრეთ ამერიკის დასავლეთ ნაპირის მცხოვრებნი, ნავს

ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრულ, გამომხმარი წყალმცენარეების მსხვილი გვარლებისაგან აგებდნენ. ნავს

თავბოლო წამოწეული და შევიწროებული ჰქონდა. ასეთ ნავს ბალსას უწოდებდნენ (ესპანუ-

რად—„ტივი“).

კატამარანიც პირაგუას უახლოესი ნათესავია. ოკეანის კუნძულების მკვიდრთ იგი შორეული მოგზაურობისათვის შეუქმნიათ. ნავის ძირითადი ნაწილისათვის პარალელური სა-



ყრდენის მსგავსი მოწყობილობა გაუკეთებიათ. იგი ნავს საშუალებას აძლევს გაუძლოს კარგა მაგარ ღელვას.

კი-იომო—ვიეტნამელთა ნავიც—პირაგუას ნათესავია. შუა ნავში ტვირთისთვის საგანგებოდ არის დატოვებული



ამაღლებული ადგილი. მძიმე ტვირთით დატვი-


რთული კი-იომოს ხშირად წყალსზემოთ მხოლოდ კიჩო და ტვირთიღარჩება, მაგრამ იგი მაინც კარგად ცურავს (ცხადია, შეტბორებულ მდინარეში).

ბევრს გაგიგონიათ ალბათ ჩინური ჯონკა, რომელიც შეუდარებელია თავთხელ მდინარეებში სანაოსნოდ, მაგრამ ალბათ იშვიათად თუ იცის ვინმემ, რომ მას საფუძვლად ტივი უდევს. ოღონდ, გვერდები აქვს ამოყვანილი და ცხვირი წამოწეული. ჯონკა სხვა პირაგუების მსგავსად თევზს კი არა ჰგავს, არა-



მედ უფრო იხვს მიაგავს. ნიჩბებიც იხვის ფეხების მსგავსად აქვს მოწყობილი.

პირაგუას ბევრი ახლო ნათესავი ჰყავს. ერთ-ერთი მათგანი დნეპრის წყლებში გამოცდილი „ძველი სლავური მუხაა“. სახელწოდებითაც ჩანს, რომ იგი მუხისგან იყო გამოთლილი. ამ ნავებით ზაპოროჟიელი კაზაკები შავ ზღვასაც კი სერავდნენ ხოლმე.



ადამიანმა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ისწავლა მორების ტივად შეკვრა. ზოგიერთი სახის ტივი ნავის პირველსახეობა იყო.





### ვინ არის წარმოშობით?

დღემდე ვერავის გამოურკვევია, თუ ვინ არიან წარმოშობით კუნძულ მალტის მკვიდრნი. გარეგნობით ისინი ჩრდილოეთ აფრიკის მცხოვრებლებს ჰგვანან—შავგვრემანი კანი, თაფლისფერი თვალები და შავი თმა აქვთ. მათი ენა არაბული დიალექტია, მაგრამ სინტაქსსა და ლექსიკას შესამჩნევად ეტყობა იტალიურის გავლენა. დამწერლობა აქ ლათინურია, რელიგია—კათოლიკური. მალტელთა აზრით, ქალს მხოლოდ ორჯერ აქვს სხვების წინაშე გამოჩენის უფლება: ერთხელ, როცა ქორწინდება, მეორედ კი—თავისი დასაფლავების დღეს.

### თათრი საკლასო დაფა

იაპონიის ზოგიერთ სკოლაში ტრადიციული შავი საკლასო დაფა თეთრი დაფით შეცვალეს. ეს უკანასკნელი პლასტმასისაგან არის დამზადებული და მასზე წერენ ექვსფერიანი თვითმწერი კალმით, რომელსაც წვერზე რბილი ფეტრის ბუნიკი აქვს. ამ კალმიდან გამოყოფილი მელნის წაშლა იოლად.

### ასათი რამ მუბი არსადაა!

ქუჩათა გზაჯვარედინები, სარკინიგზო ხაზების გადაკვეთილობა—ყველაფერი ეს ჩვეულებრივი რამ არის. მაგრამ

ალბათ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ პოზნანის საგოგეოლოში (პოლონეთში) არის მდინარე, რომელიც სწორი კუთხით ჰკვეთს მეორე მდინარეს, რის შემდეგაც თითოეული მათგანი, თითქოსდა აქ არაფერიცაა, თავის გზას განაგრძობს.

### ყველაზე, ყველაზე...

დედამიწის ზურგზე ყველაზე მეტი ნალექი (წელიწადში საშუალოდ 12 600 მმ) მოდის აღმოსავლეთ ინდოეთში, ჰიმალაის მთების მახლობლად—ჩერაპუნჯის მიდამოებში. ამოდენა წვიმის წყალი მდინარეებში რომ არ ჩადიოდეს და არც მიწაში იჟონებოდეს, ჩერაპუნჯის მთელ ამრემარეს 12,6 მეტრ სიმაღლეზე დაფარავდა.

ყველაზე გვალვიანი ადგილებია ვადიხალფა (სუდანის რესპუბლიკა) და ჩილის უდაბნო ატაკამა. თუ უდაბნოთა ზოგიერთ ალაგას მთელი წლის მანძილზე მხოლოდ 1 მმ ნალექი მოდის, ვადიხალფას ეს „უღუფა“ სამ წელიწადში მარტო ერთხელ ელირსება ხოლმე.

ყველაზე დიდი სიცხე ლიბიაში, ტრიპოლის მახლობლად იცის. ყოფილა შემთხვევა, როცა სიცხე აქ 50 გრადუსამდე (ცელსიუსით) ასულა.

ყველაზე დაბალი ტესპერატურა რეგისტრირებულია 1960 წელს ანტარქტიდაში, სადგურ „ვოსტოკში“—88,3 გრადუსი ყინვა.

### რატომ ყვითლდაა ფოთოლი

თავის დროზე ტიპირიაზევმა მოახერხა იმის დადგენა, რომ ქლოროფილის მწვანე პიგმენტი მწვანე და ყვითელი პიგმენტების ნარევიცაა. მწვანე პიგმენტს მან ქლოროფილინი

უწოდა, ყვითელს—ქსანთოფილინი. ქლოროფილინი ადვილად იშლება, ქსანთოფილინი კი უფრო გამძლეა. სწორედ ამით აიხსნება შემოდგომაზე ფოთლის გაყვითლება.

მცენარეებში ქლოროფილის მარცვლების წარმოქმნისათვის აუცილებელია აზოტოვანი საკვები, რკინის მარილები, ჟანგბადი და, რათქმა უნდა, სინათლე და სითბო.

ცდებით დამტკიცდა, რომ მცენარეების ამწვანებისათვის ხუთი გრადუსი სითბო მაინც არის საჭირო; ხოლო სინათლე მცირეოდენიც ჰყოფნის: გაზის ნათურის ან ნავთის ლამპის შუქიც კი კმარა.

### მოხარხარე ჩიტი

ბრაზილიაში ცხოვრობს ადგილობრივ მკვიდრთა საყვარელი ჩიტი კუკებურე, რომელიც ისე გალობს, გეგონება, ვიღაც მჭექარე ხმით ხარხარებსო.

ჩვეულებრივ, მზის ჩასვლის შემდეგ, კონცერტს ერთი მგალობელი იწყებს, მას მეორე, მესამე აჰყვება ხოლმე და სულ მალე ტყეს ხმამაღალი ხარხარი მოიცავს.

„მოხარხარე“ გველებით იკვებება, რომელთაც ღონიერი ნისკარტით კლავს. ალბათ სწორედ ამიტომ ეძახდნენ კუკებურეს ძველად „ღრილა ეშმაკს“.

### უსუსანი ხე

მსოფლიოში ყველაზე ხშიერი ხე იაპონიის კუნძულ იაკუსიმაზე აღმოაჩინეს. ეს კედარია. მისი ღეროს გარშემოწერილობა 16 მეტრია. მეცნიერებმა ელექტრული ხელსაწყოებით გამოიკვლიეს მცენარეული სამყაროს ეს პატრიარქი და დაადგინეს, რომ იგი დაახლოებით 7200 წლისაა.



# სიცილის გაჯუთილი

—გესმის, რობერტ, ჩემთვის შრომა ყოველთვის კმაყოფილება იყო. შენ კი გინდა, რომ შენთვის სხვები მუშაობდნენ,—უსაყვედურა მამამ ვაჟიშვილს.

—მე ისეთი ეგოისტი არა ვარ, რომ მართა ჩემი კმაყოფილებისთვის ვცხოვრობდე,—მიუგო შვილმა.

\*\*\*

—ბავშვებო, რა არის უსასრულობა?

—სასწავლო წელი, პაცივცემული მასწავლებლო—იყო ერთ-ერთი მოწაფის პასუხი.

\*\*\*

ჟაკო სასურსათო მაღაზიიდან დაბრუნდა.

—ჟაკო, გამყიდველს ღორის ფეხები ჰქონდა?

—ვერ შევამჩნიე, წინდები ეცვა.



მთელი სიცოცხლე რომ მანდ იჯდე, აკვალანგისტი მაინც არ გამოხვალ. ჩემი შვილი ექიმი იქნება, მორჩა და გათავდა!

\*\*\*

ეკლესიის მსახური მოტოციკლეტით მგზავრობდა. იგი პოლიციელმა გააჩერა.

—ვწუხვარ, მაგრამ მოძრაობის წესების დარღვევისთვის უნდა დაგაჯარიმოთ.

—შვილო ჩემო, —მიუგო



მან,— ჩემთან ყოველთვის ღმერთია და ალბათ ის მართავს ჩემს მოტოციკლეტს.

—მაშინ მეორე ჯარიმის გადახდაც მოგიწევთ, ერთადგილიან მოტოციკლზე ორნი რომ მგზავრობთ

\*\*\*

ცნობილი გერმანელი პოეტი და იუმორისტი მორიც გოტლიბ საფირი ერთ ლიტერატორს შეეკამათა, რომელმაც გესლიანად მიუგო:

—თქვენ, ბატონო საფირ, ფულისათვის წერთ, მე კი მხოლოდ ღირსებისათვის.

—ყოველი ჩვენგანი წერს იმისათვის, რაც მას აკლია,—უთხრა ღიმილით საფირმა.

\*\*\*

ამერიკის ტყეებში ორი კაცი მიდიოდა. კარგა ხანს ისე იარეს, არავინ შეხვედრიათ. მხოლოდ სამი დღის შემდეგ შეხვდათ ერთი მოხუცი ინდიელი, რომელმაც ინგლისური ენა იცოდა. მოგზაურები გამოესაუბრნენ და ჰკითხეს:

—ნომ ვერ გვეტყვი, როგორი ამინდია მოსალოდნელი ხვალ?

—რატომაც არა,— უბასუხა ინდიელმა,— ხვალ დილით იწვიმებს, ღამე სიცივეა მოსალოდნელი, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში დარი იქნება.

—გმადლობთ,—უთხრა ერთ-ერთმა და დასძინა:—რა ზუსტად იციან ამ მოხუცმა ინდიელებმა ამინდის გამოცნობა, ისინი უკეთ ახერხებენ ამას, ვიდრე ჩვენ მთელი ჩვენი მეცნიერული მიღწევებით.—შემდეგ ისევ ჰკითხა ინდიელს:—გვითხარით, გეთაყვა, როგორ გამოიცანით ასე ზუსტად ხვალინდელი ამინდი?

—რადიოთი მოვი-



სმინე.—უბასუხა ინდიელმა.

\*\*\*

ქალაქში ჩასული ფერმერი მაღაზიაში მივიდა. მას ძროხის ყიდვა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაღაზიაში კი ველოსიპედები იყიდებოდა. გამყიდველმა უთხრა ფერმერს:

—შეიძინეთ ველოსიპედი, ველოსიპედით შეგიძლიათ იმგზავროთ თქვენს ფერმამდე და ჩამოხვიდეთ ხოლმე ქალაქში, ძროხით კი ვერ იმგზავრებთ.

—რა თქმა უნდა, ძროხით ვერ ვიმგზავრებ და ქალაქშიც ვერ ჩამოვალ, მაგრამ ველოსიპედს რომ ვერ მოვწვავთ?—კითხვა შეუბრუნა ფერმერმა.



# იჭილო - მიჭილო


## კროსვორდი გაყოცანი

თარაზულად: 5. ბე-რძულ მითოლოგიაში ექალის მეფე; 6. თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი; 9. გულის მო-

წვეტი; 19. ბნელებადცვა-ლებადი ვარსკვლავი; 20. ზეთისთვის განკუთვნილი თიხის მცირე ზომის ჭურჭელი; 24. ქალაქი რუმინ-

სტემის განვითარების დარღვევა; 32. თანამდგომი, გულშემატკივარი, მასობელი; 33. ოსმალეთში პრივილეგირებული ჯარი მე-14-19 საუკუნეებში; 34. წყალში გასასხნელი საღებავები.



შეგულად: 1. ზევისისა და ევროპეს ვაჟი ბერძულ მითოლოგიაში; 2. ბალახოვანი დეკორატიული მცენარე; 3. რაიმესადმი ძლიერი მიღრეკილება; 4. ხელნაწერი პაპირუსი ან პერგამენტი; 5. ოკეანოსის ქალიშვილი ბერძულ მითოლოგიაში; 7. ტროას ომის გმირი; 8. პირი, რომელსაც ღმერთი არ სწამს; 12. ატმოსფეროს ზედა ფენების შემსწავლელი; 13. სხვადასხვანის ტრუმენტის დამკვრელი მუსიკოსების კოლექტივი; 14. ძილის მომგვრელი და დამამშვიდებელი წამალი; 16. ნიდერლანდელი ფერმწერი; 21. შესვენება სათეატრო წარმოდგენის ორ მოქმედებას შორის; 22. ხის პატარა გობი; 23. ქართველი პოეტი; 27. ევროპული სახელმწიფო; 28. წერილი, ბართი ძველქართულად; 30. ბოსტნეული; 31. ზღაპრული შინაარსის იგავი.



როდესაც ავაპვლინ იყო, მისი შვილი 5-ის იყო. რა აღნიშნის ამ აღვ ბავლამავ შვილზე იგავ უპროსი?

### გაგაგაგაგა

ვინ რომელ სადარბაზოში ცხოვრობს



ქმედების ნორმალური რიტმის დარღვევა; 10. მდინარე აფრიკაში; 11. ქიმიური ელემენტი; 15. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ლეგენდარული მხარე; 17. ბრაზილიელი მწერალი; 19. ერთგვარი ყავისფერი კა-

ნეთში; 25. ციხე-სიმაგრე და ქალაქი თურქეთის ტერიტორიაზე; 26. სპეციალურად მოყვანილი მწვანე მცენარის ჩახვნა ნიადაგის გასანოყიერებლად; 29. ბავშვთა დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძვლებისა და ნერვული სი-



### ღახატა სუკათუგა სამი კალღი

სურათზე სამი კალღი და სამი ხელია ღახატული, საბელები კი არ ჩანს. ღახატა საბელები, ოღონდ ისე, რომ თვითვეული კალღი მისგაპატრონება ახვიროს, თანაც არ დაბავიწყდეს, რომ საბელები არ უნდა გადაიკვეთოს, არ უნდა შეეხოს ერთმანეთს და ნახატის ჩარჩოებს.




# ნაშრომისთვის მომზადდი

ერთიანი  
ბავშვობა


## გულთკავი!



მატარა სვერელევი



თეონა ზარიძე




„ნაკადული“ დაბადების დღეს  
ულოცავს ნინო ვეზულაშვილი.  
ნინო თბილისის 207-ე ბაღ-სკოლის  
(დირექტორი მარინა ცინცაძე)  
მოსწავლეა.



სალომე ლორია



თათია ლორია



სალომე და შოთიკო  
გურგენიშვილებს დაბადების დღეს  
ულოცავენ და ბედნიერებას  
უსურვებენ ნათია და იზო ბაბიძაძე.





გიორგი გოცაძე. პატრუნი



თამთა გოცაძე. თჯასი  
b 50 / 42



თამთა გოცაძე. ახალი წელი



გიორგი გოცაძე. მათუბი



გიორგი გოცაძე. სპილო

უფროსებმა გიორგის ნახატებს სერიოზულად ყურადღება მამან მიაქციეს, როცა იგი თიხის წლის იყო. მანამდე კი მანინდო, რომ ისიც ისევე ხატავდა, როგორც დანარჩენი მისი თანატოლები. შერე კი, როცა დააკვირდნენ დარწმუნდნენ, რომ ბიჭი იგივე მხეხავს სხვანაირად ხატავდა, მანქანებსაც და ხალხებსაც, მის ნახატებში აშკარად იგრძნობოდა საგნების, მოვლენების განსხვავებული ხედვა, აღქმა და შესაბამისად—ქაღალდზე ასახვის თავისებური, ორიგინალური მანერა. მცირე ხოლმე მისი თაობის შემდეგ გიორგი მძივანეს ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის თავისუფალი ხატვის ექსპერიმენტულ ჯგუფში „ფერწერა და მუსიკა“. პედაგოგ მხეჩალა ქერქენიშვილის ბავშვებთან მუშაობის სტილის წყალობით სულ მალე გამოიკვთა მისი შორევი მოსწავლის გიორგი გოცაძის მხატვრული აზროვნებისა და ხატვის მანერის ხილად. ორიგინალური კომპოზიციების აგების უნარი. გიორგის ხატვა არასოდეს ბუზრდება, შეუძლია ხაზობით იჯდეს ფუნჯით თუ ფანქრით ხელში. ასეთ დროს თავის სამყაროში ამბობს და აღიარებს და არაფერი ამისგან იმის გარდა, რაც ქაღალდზე უნდა გადაიტანოს. მის ყოველ ნახატში—იქნება ეს პორტრეტი, პეიზაჟი თუ ყოფილი სცენა ჩაის მისი დამოუკიდებელი აზროვნება, მისი სწავლა „მე“, უკვე გამოუმუშავებული შემოქმედებით ხელწერა.

სწავლის იყო გიორგი, როცა მირველად მადლი მონაწილეობა გამოიყენაში, ეს თბილისში გამართული საშობაო გამოფენა იყო. მარველ ვერხსიას მოძევა მეთორე—TACIS-ის მიერ მოწყობილი თემატური გამოფენა „ეკოლოგია და გარემო“, ხორხმა მხატვარმა მირველ დიდ წარმატებასაც ამავე ასაკში მიაღწია—სეიქის მიერ ორგანიზებულ კონკურსში „ჩვენს მომავალი ოლიმპიელები ვართ“ გიორგი გოცაძემ დამლობა დაიმხსურა. ამ სხიდან მოყოლებული გიორგი რეკლამურად მონაწილეობს ქვეყანაში გამართულ გამოფენებში და დიდ წარმატებასაც აღწევს. შერე და შერე ნაჭიერი ქართული ბიჭუნის ნამუშევრები საქართველოს ფარგლებს გასცდა და ჯერ „საერთაშორისო გამოფენა“ (ქ. ლოსანჯესი, საერთაშორისო გამოფენა „დასახანი 2000“), შერე არგენტინაში (ქ. აუკონდელა, საერთაშორისო ბავშვთა), სესელში (საერთაშორისო გამოფენა „დადიტე“ წითელი ვარი—2002“), მილიონში ქ. ტორინი, საერთაშორისო ბავშვთა „ეკოლოგია ცხიფურა, ეკოლოგია მწვანე“), რუსეთში (ქ. მოსკოვი, გამოფენა „სლანაია“ და გამოფენა „ჩემი საყვარელი ცხოველი“), აბიანში (ბავშვთა საერთაშორისო გამოფენა—კონკურსი), თურქეთში (ქ. ანკარა, ბავშვთა საერთაშორისო გამოფენა—კონკურსი). გიორგის წარმატებებს დასტურია ამ გამოფენებზე მადლებული უამრავი დამლობა, სიგელი თუ სერტიფიკატი. გიორგის სხვა ინტერესები და ვატიცებებიც აქვს—დადის ქართული ხალხური ცეკვის სტუდიაში, სმირტულ ტანვარჯიშზე, სწავლობს კომპიუტერს და ინგლისურს, აქვს მინიატურული ავტომანქანების კოლექცია.

გოცაძეების ოჯახში კიდევ ერთი მხატვარი აზრდება გიორგიზე II თეო უცროსი თამთა. თამთამაც შესტად 4 წლის ასაკში დაიწყო ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში თავისუფალი ხატვის ექსპერიმენტულ ჯგუფში მუშაობა და მანაც თავიდანვე მძივა პედაგოგის ყურადღება, ნაჭით, ხატვის სიყვარულით, ხანტერესი ხედვითა და ფანტაზიით. გიორგი და თამთა გოცაძეები ამჟამად ს. ფალიაშვილის სახელობის №2 სამუსიკო სკოლის სკოლის ფერწერის განყოფილებაზე სწავლობენ. მათ პედაგოგს ქნ მხეჩალა ბერძენიშვილის მძანხია, რომ თუ ასეთივე ვატიცებთ იმუშავებენ და არ იზარბცებენ, ორივენი ხანტერესი შემოქმედებითი ხელწერის მხატვრებად ჩამოყალიბდებიან.

თამთა და გიორგი გოცაძეები თბილისის მრავალბროფილიანი საშუალო სკოლა „ლიომხის“ მოსწავლეები არიან, თამთა მეთორე კლასშია, გიორგი—მესამეში, და-ძმა აქვს ხუთ თოთხობი არიან.